საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 3 ოქტომბერი. 2019 წ. №196 (8861) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

გარდატეხის ასაკში მშობლების სითბო და ყურადღება გადამწყვეტია!

6

7

პრობლემაა ისიც, რომ თვითონ სახელმწიფო მოხელეებიც არიან უცოდინარნი!

ბავშვებში ფსიქიკურ აშლილობებს ჰაერის დაბინძურებასაც უკავშირებენ



გარდაიცვალა გია ყანჩელი

84 წლის ასაკში დიდი კომპოზიტორი **გია ყანჩელი** გარდაიცვალა. გია ყანჩელი ბოლო ხანს ავადმყოფობდა. ის თბილისში, ისრაელი-საქართველოს კარდიოლოგიისა და ანგიოლოგიის ცენტრში მკურნალობდა.

გია ყანჩელმა 1963 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია, 1972 წლიდან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მუსიკალური ნაწილის გამგედ, 1979 წელს იგი საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივნად აირჩიეს.

განსაკუთრებულად აღსანიშნავია მისი სიმფონიური თხზულებები. 1977 წელს შექმნილმა სიმფონიამ „ინ მემორია მიქელანგელო“ მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა.

გია ყანჩელს ეკუთვნის რობერტ სტურუას საუკეთესო სპექტაკლებისთვის შექმნილი მუსიკა „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „ჰამლეტი“, „ქალი-გველი“, „მეთორმეტე ღამე“.

გია ყანჩელის შემოქმედებით მემკვიდრეობას განეკუთვნება: ოპერა „და არს მუსიკა“ (1983წ.), 6 სიმფონია, კონცერტი სიმფონიური ორკესტრისათვის (1962 წ.); ლარგო და ალლეგრო სიმებიანი ორკესტრის, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის (1963 წ.); „სევდა ნათელი“ — ბიჭუნათა გუნდის, ორი სოლისტისა და დიდი სიმფონიური ორკესტრისათვის (1985 წ.); მუსიკა სპექტაკლებისთვის: „ხანუმა“, „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“; (შოთა რუსთაველის თეატრის დადგმები). მუსიკა კინოფილმებისთვის: „არ დაიდარდო“, „ქვევრი“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „მიმინო“, „შერეკილები“, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, „როცა აყვავდა ნუში“ და სხვა.

„ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი შემოქმედება მომავალში დავიწყებას არ მიეცემა და აღიქმება, როგორც მცდელობა სიბნელისაგან თავის დაღწევისა და სინათლისაკენ სწრაფვისა“.

გია ყანჩელი

ქართველ კომპოზიტორს გია ყანჩელს 5 ოქტომბერს დიდუბის პანთეონში დაკრძალავენ.

საქართველოს კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, პანაშვიდები თბილისში, ტოვსტონოგოვის ქუჩაზე (№6) 3 და 4 ოქტომბერს გაიმართება.

გია ყანჩელს 5 ოქტომბერს რუსთაველის თეატრიდან გამოასვენებენ.

თეა წულუკიანი:

საპაკაშვილი უკვე თავისი პარტიის-თვისაც ტოქსიკური მოვლენა გახდა

2

თეთრი რასისტები

უკრაინაში მებრძოლი უცხოელების ახალი ტალღა

8

ხომ გვაჩვენა ამ 30-მა წელმა, რომ „ვიღაც მოვა და გვიშველის“ არ მუშაობს!

5

თეა წულუკიანი: საქართველო მსოფლიო ბანკის რეიტინგში დაწინაურდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, ხელისუფლების ეფექტიანობისა და რეგულირების ხარისხის მიმართულებით

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, კვლევა „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“ მსოფლიოს 214 და მსოფლიო ბანკის წევრ 186 სახელმწიფოს ექვსი ძირითადი მიმართულებით აფასებს, საიდანაც საქართველომ სამი ინდიკატორით ისტორიულად საუკეთესო მონაცემი აჩვენა.

„საქართველომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით 100-პროცენტიანი სკალიდან 76.4 პროცენტი მიიღო, ევროპის საუკეთესო ოცეულში პოზიცია ერთი ადგილით კიდევ გაიუმჯობესა და მე-18 ადგილი დაიკავა. აღნიშნული სარეიტინგო პოზიცია საქართველოსათვის ისტორიულად საუკეთესო შედეგია. რეიტინგში საქართველო უფრო წინაა, ვიდრე ევროკავშირის წევრი 14 სახელმწიფო — ესპანეთი, იტალია, პოლონეთი, მალტა, ჩეხეთი, ლატვია, ლიეტუვა, სლოვაკეთი, ხორვატია, უნგრეთი, რუმინეთი, კვიპროსი, საბერძნეთი და ბულგარეთი. კორუფციის კონტროლის მხრივ საქართველო ლიდერია რეგიონში, პოსტსაბჭოთა სივრცეში კი, მხოლოდ ესტონეთს ჩამორჩება;

ისტორიულად საუკეთესო შედეგი აქვს საქართველოს ხელისუფლების ეფექტიანობის ინდიკატორში, სადაც ფასდება სახელმწიფო სერვისების ეფექტურობა, საჯარო სამსახურის ხარისხი და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ამ ინდიკატორში საქართველომ რანგირების 100%-იანი სკალიდან 74.04% დაიმსახურა და უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე ევროკავშირის წევრმა 6 ქვეყანამ, ესენია: უნგრეთი, იტალია, ხორვატია, საბერძნეთი, ბულგარეთი და რუმინეთი;

კიდევ ერთი საუკეთესო შედეგი საქართველომ „რეგულირების ხარისხის“ მაჩვენებელში მიიღო, სადაც ფასდება სახელმწიფოს მიერ კერძო სექტორის განვითარებისათვის განხორციელებული რეფორმების ეფექტიანობა. რანგირების 100-პროცენტიანი სკალიდან ქვეყანამ 83.17 პროცენტი მიიღო. საქართველო ლიდერია რეგიონში და მსოფლიო ბანკის წევრ 186 ქვეყანას შორის ევროპის საუკეთესო ოცეულშია მე-19 პოზიციაზე“, — აღნიშნავენ იუსტიციის სამინისტროში.

უწყების ცნობით, წინსვლა დაფიქსირდა კანონის უზენაესობის ინდიკატორშიც, რომელიც მთავრობის მოქმედებების კანონთან შესაბამისობას და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას განსაზღვრავს. რანგირების 100-პროცენტიანი სკალიდან საქართველომ 63.94 პროცენტი მიიღო. ამ მონაცემით უკეთესი შედეგი აქვს, ვიდრე ევროკავშირის ხუთი და ნატოს წევრ რვა სახელმწიფოს. კანონის უზენაესობის რეიტინგის მხრივ საქართველოს უკეთესი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე იტალიას, საბერძნეთს, ბულგარეთს, რუმინეთს, ხორვატიას. საქართველო ბალტიის ქვეყნების შემდეგ ლიდერია პოსტსაბჭოთა სივრცეში.

მსოფლიო ბანკის კვლევა — მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები (World Governance Indicators) — წარმოადგენს კვლევით მონაცემთა ბაზას, რომელიც სრულად ეფუძნება სხვადასხვა — ჯამში 33 გლობალურ რეიტინგსა და შეფასებას (მათ შორის: Freedom House, IREX Media Sustainability Index, Open Budget Index, World Justice Project და ა.შ.). აღნიშნული მონაცემები, თავის მხრივ, ეყრდნობა კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო სექტორის წარმომადგენლების გამოკითხვის შედეგად მიღებულ მოსაზრებებსა და შეფასებებს. გლობალური მმართველობის ინდიკატორებით მსოფლიოს 214 და მსოფლიო ბანკის წევრი 186 სახელმწიფო ფასდება“, — აცხადებენ იუსტიციის სამინისტროში.

შეხვედრა თავდაცვის სამინისტროში

საქართველოს **თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩს დურსუნ ჰასანოვს უმასპინძლა. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე მხარეებმა ორი ქვეყნის თავდაცვის უწყებებს შორის არსებული და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები, ასევე რეგიონული უსაფრთხოების საკითხები განიხილეს.**

თავდაცვის მინისტრმა ყურადღება აზერბაიჯანთან ურთიერთობაზე, ასევე სამმხრივ ფორმატში — საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის თანამშრომლობის შესახებ გაამახვილა.

ირაკლი ღარიბაშვილმა აზერბაიჯანელ დიპლომატთან სამხედრო განათლების მიმართულებით თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების შესახებაც ისაუბრა. შეხვედრას საქართველოში აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი ფუად იბრაჰიმოვი და საელჩოს წარმომადგენელი დაესწრო.

გაცემული დანაპირები ქვეყანაში იაფი ფულადი რესურსის ხელმისაწვდომობის შესახებ შესრულებულია

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა, ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში 2020 წლის ბიუჯეტზე საუბრისას, ყურადღება იაფ ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელობაზე გაამახვილა.

„შვიდი წლის წინ, პირველ ოქტომბერს ხელისუფლებაში მოსულმა „ქართულმა ოცნებამ“ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტად გამოაცხადა. გაკეთდა რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი აქცენტი. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის იაფი ფინანსური რესურსი იქნებოდა ხელმისაწვდომი. ეს იყო უმნიშვნელოვანესი განაცხადი.

2012 წლიდან აქტივობები სოფლის მეურნეობაში თვისობრივად შეიცვალა. ამოქმედდა შეღავათიანი აგროკრედიტის სახელმწიფო პროგრამა. იაფ ფულად რესურსზე წვდომის საშუალება მიეცა ყველა მეწარმეს, ფერმერს და გლეხს.

შეღავათიანი აგროკრედიტი გულისხმობს სახელმწიფოს მიერ 5 წლის განმავლობაში საპროცენტო განაკვეთის 11 პროცენტის დაფარვას ჩვენი მოქალაქეების მიერ კერძო, კომერციული ბანკებიდან აგრარული დარგის განვითარებისთვის აღებულ სესხებზე.

პროგრამა წარმატებით ფუნქციონირებს 2013 წლიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეებზე გაცემული დანაპირები ქვეყანაში იაფი ფულადი რესურსის გაჩენის შესახებ შესრულებულია.

აქვე მინდა აღვნიშნო, 2020 წლისთვის ამ მიმართულებით ბიუჯეტი გაზრდილია 74 მლნ ლარამდე. მოქმედი პორტფელი ნახევარ მილიარდ ლარზე მეტია, სექტორის დაფინანსებისთვის გაცემული თანხა კი 2 მილიარდ ლარს აჭარბებს“, — აღნიშნა მინისტრმა.

მამუკა მდინარაძე: როდესაც „მსოფლიო ბანკის“ რეიტინგებში ასეთი დაწინაურება გაქვს, ეს უკვე აღიარებაა

ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძე „მსოფლიო ბანკის“ რეიტინგებთან დაკავშირებით ოპოზიციის მიერ გამოთქმულ კრიტიკას გამოეხმაურა.

„ახალი პარადოქსული განცხადება მოვისმინეთ ოპოზიციის მხრიდან, რომ თურმე მათი მიწოდებული ინფორმაცია და მათი კვლევითი ორგანიზაციები როდესაც კვლევებს ატარებდნენ და შემდეგ საკმაოდ რეიტინგულ ორგანიზაციებს აწვდიან ამ ინფორმაციას, არის სწორი და „მსოფლიო ბანკის“ მონაცემები თურმე ტყუილი ყოფილა.

ყველაზე ობიექტური, ცნობილი, ავტორიტეტული ორგანიზაციები, რომელსაც ყურადღებას აქცევენ სახელმწიფოები, ბიზნესი, რომ შემდეგ ინვესტიციის ჩადება ან არ ჩადება გადაწყვიტონ სხვადასხვა ქვეყანაში, ეყრდნობიან, ყველაზე მთავარ საკითხად და პრიორიტეტად მიიჩნევენ „მსოფლიო ბანკის“ ასეთ რეიტინგებს და ამის მიხედვით განსაზღვრავენ თავის დღის წესრიგს.

როდესაც მსოფლიო ბანკის რეიტინგებში ასეთი დაწინაურება გაქვს, ეს არის აღიარება და ყველა დანარჩენი თუკი ამას ეწინააღმდეგება, არის მხოლოდ და მხოლოდ სპეკულაცია“, — განაცხადა მამუკა მდინარაძემ

სააკაშვილი უკვე თავისი პარტიისთვისაც ტოქსიკური მოვლენა გახდა

იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის განცხადებით, მნიშვნელოვანია ჰააგის სასამართლოსთან სამართლებრივი არგუმენტებით თანამშრომლობა ქართველი ჯარისკაცების ინტერესების დასაცავად.

„უნდა შევძლოთ, პასუხისმგებლობა დავაყენოთ რუსეთის იმ საჯარო მოხელეებისადმი, ვისი ბრალიც, რა თქმა უნდა, იმედია, გამოიკვეთება ერთ და მეორე საერთაშორისო სასამართლოზე. ეს იქნება პირველი სასამართლო დოკუმენტები, რომლებიც დაამტკიცებს, რომ პოლიტიკურად გაკეთებული ამჟამინდელი განცხადებები საფუძვლიანია, მათ შორის არაღიარებასთან დაკავშირებით“, — აღნიშნა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრმა შეაფასა ამ თემაზე მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები.

„საქართველოს მესამე პრეზიდენტი, ბატონი მიხეილ სააკაშვილი უკვე დიდი ხანია, არის ძალიან ტოქსიკური ფენომენი ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის. ერთადერთი, ვისთვისაც ის ტოქსიკური არ იყო, ეს იყო თავისივე პარტია და როგორც ვხედავ, ის უკვე მათთვისაც გახდა პრობლემა და ტოქსიკური მოვლენა. მოცემული ტოქსიკური ფენომენი აცხადებს, თითქოს საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა ქართველი ჯარისკაცები დასაჯოს რომელიმე საერთაშორისო სასამართლოში. მე მინდა ვუთხრა მას, რომ ეს არის ძალიან დიდი სირცხვილი. ეს არის მისი, როგორც ყოფილი მთავარსარდლის სასირცხვილო განცხადება. მოქმედმა ქართველმა ჯარისკაცებმა, ყოფილმა ჯარისკაცებმა კარგად იციან, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მისი ამჟამინდელი ხელმძღვანელობა, „ქართული ოცნების“ მთავრობა სწორედ ის ხელისუფლებაა, რომელიც ყველაზე ერთგულია ქართველი ჯარისკაცების. ჩვენ სამართლებრივ ბრძოლას, რა თქმა უნდა, ვაგრძელებთ იმისთვის, რომ ჩვენთვის სამართლებრივ დონეზე, სასამართლო დოკუმენტების დონეზე დადგეს ჭეშმარიტება. ჭეშმარიტება არის ერთი და ეს მტკიცდება ფაქტებით, რომ ქართველებმა განიცადეს აგვისტოს ომის დროს ეთნიკური წმენდა. ასევე, ჩვენი ჯარისკაცები იყვნენ ტყვეებად აყვანილნი და ნაწამები და ამის არაერთი, მათ შორის დოკუმენტური მტკიცება არსებობს“, — აღნიშნა წულუკიანმა.

თანამდებობიდან გაათავისუფლეს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა ქუთაისის სასჯელაღსრულების მე-2 დაწესებულების დირექტორი თანამდებობიდან გაათავისუფლა. ამის შესახებ მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა. გადაწყვეტილება დაწესებულებაში ორი დღის წინ მომხდარ თვითმკვლელობის ფაქტს უკავშირდება.

„საგამოძიებო მოქმედებები დაიწყო გუშინ საღამოსვე, როდესაც ეს ფაქტი გახდა ცნობილი იუსტიციის სამინისტროს გენინსპექციისთვის. მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა მტკიცებულებების შეგროვება და ამ მომენტშიც მიმდინარეობს. ძირითადი მტკიცებულებები შეგროვებული გვაქვს. უნდა დაველოდოთ ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც იმედი მაქვს, რამდენიმე დღეში იქნება ცნობილი და ამის შემდეგ ჩვენ შევძლებთ, ვისაუბროთ იმაზე, შესაძლებელი იყო თუ არა ამ თვითმკვლელობის თავიდან აცილება და ხომ არ იკვეთება მათ შორის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ქუთაისისპენიტენციური დაწესებილების რომელიმე თანამშრომლის“, — აღნიშნა წულუკიანმა. ქუთაისის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავი მოიკლა პატიმარმა, რომელიც ძმის მკვლელობის ბრალდებით იყო დაკავებული.



ზვიად კუპრავა სასამართლომ 1000 ლარით დააჯარიმა

„სამართალდამცავთა რეფორმირების ცენტრის“ ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა სასამართლომ დამნაშავედ სცნო და 1000 ლარით დააჯარიმა.

საქმე ეხება ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილის ცემის ფაქტზე მიმდინარე სასამართლო პროცესს. გადაწყვეტილება მოსამართლე დალი მეტრეველმა მიიღო. ადვოკატ ირაკლი ზაქარეიშვილის მტკიცებით, ზვიად კუპრავა რამდენიმე თვის წინ მას სასამართლოს ეზოში თავს დაესხა და სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

დააკავეს ადვოკატი ნაირა ოტიაშვილი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ადვოკატ ნაირა ოტიაშვილისა და კიდევ ორი პირის დაკავების შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას ავრცელებს. უწყების ცნობით, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დედა-შვილი და მათი ადვოკატი თბილისში მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს.

როგორც შსს-ში აცხადებენ, 1958 წელს დაბადებულ ნ.ო.-ს, 1959 წელს დაბადებულ მ.ა.-ს და 1977 წელს დაბადებულ ს.ბ.-ს ბრალი ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით ჩადენილ ცრუ დასმენაში ედებათ.

გამოძიების ინფორმაციით, ცრუ დასმენა განხორციელდა მიმდინარე წლის აპრილში დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც ნათესავებს შორის ქონებრივი დავის საფუძველზე წარმოქმნილ ოჯახში ძალადობას ეხებოდა. კერძოდ, ბრალდებულებმა — ს.ბ.-მ და მ.ა.-მ გამოძიებას ცრუ ჩვენება მისცეს და მათივე ოჯახის წევრი ძალადობასა და შემაკავებელი ორდერის პირობების დარღვევაში დაადანაშაულეს. აღნიშნული ფაქტი კი დაადასტურა მათმა ადვოკატმა — ნ.ო.-მ .

გამოძიება ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით ჩადენილ ცრუ დასმენის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს. დანაშაული ოთხიდან ექვს წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ადვოკატი ნაირა ოტიაშვილი გუშინ დააკავეს.

თბილისის 2020 წლის ბიუჯეტი მილიარდ 200 მილიონი ლარი იქნება

დედაქალაქის 2020 წლის ბიუჯეტი მიმდინარე წელთან შედარებით კიდევ უფრო გაიზრდება და მილიარდ 200 მილიონ ლარს მიაღწევს. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არის მილიარდ 79 მილიონი ლარი. საზოგადოება ხედავს, რომ ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში, სხვადასხვა მიმართულებით. რაც შეეხება 2020 წლის ბიუჯეტს, ამ თემაზე მე მქონდა კომუნიკაცია პრემიერ-მინისტრთან, ბატონ გიორგი გახარიასთან. ასევე, მქონდა კონსულტაციები ფინანსთა მინისტრთან. ჩვენ დეტალურად, სიღრმისეულად განვიხილეთ 2020 წელს განსახორციელებელი პროექტები და მინდა, გითხრათ, რომ 2020 წლის ბიუჯეტი იქნება კიდევ უფრო მეტი — დაახლოებით, მილიარდ 200 მილიონ ლარამდე. მინდა, ცენტრალურ ხელისუფლებას, პრემიერ-მინისტრს მადლობა გადავუხადო თბილისელების სახელით მხარდაჭერისთვის, თანადგომისთვის, რადგან ჩვენ მოგვეცემა შესაძლებლობა, უფრო მეტი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელოთ ქალაქისთვის და ეს, რა თქმა უნდა, თვალშისაცემი და ხელშესახები იქნება ყველასთვის“, — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

ტაქსით მომსახურების გაწევა არავისთვის აგვიკრძალავს!

პირველი ოქტომბრიდან დედაქალაქში ტაქსების რეფორმის მეორე ნაწილი ამოქმედდა, რაც ტაქსების A და B კატეგორიებად დაყოფას გულისხმობს.

როგორც დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მთავრობის მუნიციპალიტეტის სხდომაზე აღნიშნა, ტაქსის ინტერიერის ქიმიური წმენდის ვაუჩერი, რომელიც უფასო იყო, ძალიან ცოტა მძღოლმა გამოიყენა.

„ტაქსების რეფორმა მნიშვნელოვანი მიმართულებაა ჩვენი სატრანსპორტო პოლიტიკისათვის. პირველი ოქტომბრიდან ძალაში შევიდა რეფორმის მეორე ფაზა, რაც ნებართვის მქონე ტაქსებს A და B კატეგორიებად ყოფს. როგორც იცით, ტაქსის მძღოლებს წელიწადში ორჯერ უწევთ სავალდებულო ტექდათვალიერების გავლა. ტექდათვალიერების გავლის შემდეგ, 30%-მა ვერ მოახერხა, დაეკმაყოფილებინა ის მოთხოვნები, რაც კანონით არის გათვალისწინებული. დაახლოებით, 70-71% დარჩა, ვისაც ნებართვა აქვს და გაიარა ტექდათვალიერება. ამ რაოდენობის ნახევარზე მეტს კატეგორიზაცია უკვე გავლილი აქვს, ხოლო დანარჩენი ამ ეტაპზე გადის. A კატეგორიის ტაქსის მძღოლებისთვის ჩვენ გამოვყავით სპეციალური ვაუჩერები, რომელიც მათ აძლევს საშუალებას, ან გადაღებონ ავტომობილი ან თეთრი ფირი გადააკრან, ყოველგვარი ხარჯის გარეშე. ასევე, ჩვენ მივეცით მათ შესაძლებლობა, რომ ქიმიური წმენდის ვაუჩერებით ესარგებლათ, რათა მათი ავტომობილი სუფთა ყოფილიყო და მგზავრს პრობლემა არ შექმნოდა. ესეც უფასო იყო, თუმცა, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა ვაუჩერია გამოყენებული“, — განაცხადა კახა კალაძემ.

გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონია, ტაქსების რეფორმის ერთიანად წამოწყება შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომაც მუნიციპალიტეტმა მისი ეტაპობრივად განხორციელების გადაწყვეტილება მიიღო.

თბილისი აუცილებლად იქნება ფეხით მოსიარულეების ქალაქი

თბილისი ნამდვილად ვერ იქნება მარტო დიდი ჯიპების ქალაქი, თბილისი აუცილებლად იქნება ფეხით მოსიარულეების ქალაქი, — ამის შესახებ თბილისის მთავრობის სხდომაზე დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ განაცხადა. დედაქალაქის მერმა პირველი ოქტომბრიდან ორბელიანის მოედანზე ზონალურ-საათობრივი პარკირების ამოქმედების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს პროექტი სხვადასხვა ქუჩებზეც გავრცელდება. მისივე თქმით, ტაქსის რეფორმა, ასევე, ზონალურ-საათობრივი პარკირების შემოღება მუნიციპალიტეტის მხრიდან შესაძლოა, პოპულარული ნაბიჯები არ იყოს, მაგრამ ამ რეფორმების განხორციელება დედაქალაქისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და იგი საზოგადოების დაკვეთაა.

„ძალიან ხშირად ჩვენ სხვადასხვა ადამიანების მხრიდან ვისმენთ წუხილს, რომ სააკაძის მოედნის მიმდებარედ არსებული ველობილიკებით არავინ სარგებლობს, ავტომობილს კი ვეღარ აჩერებენ. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ თბილისი ნამდვილად ვერ იქნება მარტო დიდი ჯიპების ქალაქი. თბილისი აუცილებლად იქნება ფეხით მოსიარულეების ქალაქი და აუცილებლად იქნება ველობილიკები. რა თქმა უნდა, ავტომობილებისთვისაც იქნება შესაძლებელი გადაადგილება, მაგრამ პრიორიტეტი იქნება საზოგადოებრივი ტრანსპორტი. ჩვენ პროექტებს ვახორციელებთ საერთაშორისო ქვეყნების მაგალითზე. მესმის, რომ გარკვეული დისკომფორტია, მაგრამ სხვაგვარად შეუძლებელია. სხვაგვარად საქმე არ კეთდება. ყველას გვინდა, რომ რეფორმა განხორციელდეს, წინ წავიდეთ, მაგრამ როდესაც საქმე ეხება უშუალოდ ადამიანებს, მაშინვე პრობლემა ჩნდება. იწყება — რას აკეთებენ, შეუძლებელია, აზრზე არ არიან. ასეთი დამოკიდებულება მიუღებელია. არ არსებობს ისეთი რეფორმა, სადაც ყველა იქნება კმაყოფილი, მაგრამ მთავარია, ჩვენ სწორი აქცენტები გავაკეთოთ, პროექტები სწორად განვახორციელოთ. შესაძლოა, პოპულარული ნაბიჯები არ იყოს ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მაგრამ ეს აუცილებელია“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა დედაქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას მოსახლეობას მხარდაჭერისთვის, მოთმინებისა და თანადგომისთვის მადლობა გადაუხადა.

„დარწმუნებული ვარ, გავა დრო, წლები და საზოგადოება დაინახავს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ პროექტების განხორციელება. ჩვენი შვილები და შვილიშვილები მადლობას გვეტყვიან იმ განხორციელებული პროექტებისთვის, რასაც ვაკეთებთ“.

სამშენებლო ნარჩენების უკანონოდ დაყრასთან საჯარიმო სანქციები გაიზრდება!

ყველაზე დიდ პრობლემებს სამშენებლო ნარჩენები ქმნის, რადგან სამშენებლო ობიექტების მხრიდან ხშირ შემთხვევაში, ნარჩენების განთავსება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში არ ხდება.

„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაქვს გამოყოფილი კონკრეტული ლოკაციები, რათა სწორედ ამ ადგილებზე განთავსდეს სამშენებლო ნარჩენები, მშენებარე ობიექტები არღვევენ კანონს და სხვადასხვა ადგილებში ყრიან სამშენებლო ნაგავს. ეს შეიძლება იყოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია ან კერძო საკუთრება. ეს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, აქამდე ფიზიკური პირის შემთხვევაში, ჯარიმა ერთ კუბურ მეტრამდე სამშენებლო ნარჩენის დაყრაზე იყო 200 ლარი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში 500 ლარი, საკანონმდებლო ინიციატივა კი ითვალისწინებს მის გაზრდას ფიზიკურ პირზე 1000 და იურიდიულ პირზე 3000 ლარამდე.

მისივე განმარტებით, ძველი კანონმდებლობით, ერთი კუბური მეტრი და მეტი მოცულობის სამშენებლო და სხვა ინერტული ნარჩენების დაყრაზე ჯარიმა დადგენილი იყო და ფიზიკური პირის შემთხვევაში, 500 ლარს წარმოადგენდა, ხოლო 1 500 ლარს — იურიდიული პირისთვის.

წყალტუბოს ბალნეოკურორტი მწყობრშია

პრობრამის „აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტის ფარგლებში, წყალტუბოში განახლებული ბალნეოლოგიური კურორტი ოფიციალურად გაიხსნა.

ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 72-ნომრიანი კომპლექსი ერთ-ერთი მასშტაბური საინვესტიციო პროექტია რეგიონში და მისი მთავარი მიზანი ადგილობრივი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობასთან ერთად, საერთაშორისო ბაზარზე წყალტუბოს, როგორც უნიკალური, ბუნებრივი რესურსების მქონე დასასვენებელი კურორტის პოზიციონირებაა. კომპლექსი მოიცავს რესტორანს, საკონფერენციო სივრცეს და გამაჯანსაღებელ-სარეაბილიტაციო ცენტრს, სადაც სტუმრებს საშუალება ექნებათ, პროფესიონალ ექიმ-სპეციალისტთა მეთვალყურეობის ქვეშ ჩაიტარონ სამედიცინო-სამკურნალო პროცედურები, ისარგებლონ მრავალფეროვანი სარელაქსაციო, სპა მომსახურებით.

პირველი ორი წლის განმავლობაში აღებული სესხის საპროცენტო განაკვეთის 10%-ს სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ დაფარავს. აღნიშნული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 9 500 000 ლარს შეადგენს. პროექტის შედეგად შეიქმნა 170 სამუშაო ადგილი.

2019 წლის აგვისტოს თვის მონაცემებით, სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების მიმართულების ფარგლებში მხარდაჭერილია 111 მეწარმე სუბიექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 289.6 მლნ ლარს, ხოლო აღნიშნული 111 სასტუმრო შექმნის 3 380-ზე მეტ დამატებით ოთახს და 2 890-ზე მეტ ახალ სამუშაო ადგილს.

ბორჯომში ახალი სასტუმრო აშენდება

პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტში, სოფელ ციხისჯვარში 30-ნომრიანი სასტუმრო-ინფრასტრუქტურა მოეწყობა.

პროექტის მხარდასაჭერად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სოფელ ციხისჯვარში მდებარე 16 481 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ელექტრონულ აუქციონზე 51 000 ლარად გაყიდა.

როგორც ეკონომიკის სამინისტროში აცხადებენ, პროექტი „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ მიზანია, ხელი შეუწყოს ქვეყანაში სასტუმრო-ინფრასტრუქტურის განვითარებას. დღეის მდგომარეობით კერძო სექტორში უკვე გადატანილია 26 ერთეული უძრავი ქონება, რომელთა ჯამური ღირებულება 62 405 001 მილიონ ლარს შეადგენს, ხოლო სასტუმროების ასაშენებლად განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა 100 მილიონ ლარზე მეტია.

ქართული ღვინო რაგბის მსოფლიო ჩემპიონატზე

იაპონიაში მიმდინარე რაგბის მსოფლიო ჩემპიონატის ფარგლებში, ქალაქ ტოკიოში მდებარე სავაჭრო ცენტრში „Marunochi Bealding“ ქართული ღვინის წარდგინება და დეგუსტაცია გაიმართა.

საქართველო-ურუგვაის მატჩის პარალელურად მოწყობილ საგულშემატკივრო სივრცეში ბორჯღალოსნების მხარდასაჭერად მოსულ იაპონელ და უცხოელ სტუმრებს სხვადასხვა დასახელების ქართული ღვინის დაგემოვნების საშუალება მიეცათ.

მატჩის ტრანსლაციის დაწყებამდე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა იაპონიაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა, საგანგებო და სრულუფლებიანმა დესპანმა თეიმურაზ ლეჟავამ.

შემდეგი მატჩი საქართველოსა და ფიჯის შორის ოსაკაში 3 ოქტომბერს ჩატარდება, სადაც კვლავ წარმოდგენილი იქნება ქართული ღვინო. იაპონია ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტო ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისა და პოპულარიზაციის მიზნით, სხვადასხვა აქტივობებს ახორციელებს.

საპენსიო შენატანების მოცულობამ 387 მილიონ ლარს გადააჭარბა

საპენსიო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, დაგროვებით საპენსიო სისტემაში ამ დროისთვის 896 526 უნიკალური მონაწილეა. აქედან 686 374 კერძო სექტორშია დასაქმებული, 210 152 კი — საჯარო სექტორში. ჩართული კერძო კომპანიების რაოდენობაა 58 029.

სისტემიდან გასვლის შესაძლებლობით 161 353 მოქალაქემ ისარგებლა, მათ შორის კერძო სექტორიდან 119 269-მ, ხოლო საჯარო სექტორიდან 42 084-მა. ამ დროისთვის საპენსიო შენატანების ინვესტირება არ დაწყებულა. თანხები საბანკო ანგარიშებზეა განთავსებული, საიდანაც დარიცხულმა სარგებელმა დღემდე დაახლოებით 8 მილიონი ლარი შეადგინა.

◎ მომავალი ავად გვემუქრება!

ვაი, ვაი, ფოლადის ვაჟკაცები უშვილძირო ბერბიჭებმა შეცვალეს!..

ისტორიისთვის არცთუ დიდი ხნის წინათ, არამარტო საქართველოში, არამედ ევროპაშიც კი აღიარებული ინდუსტრიული რუსთავქალაქი, სადაც დღესაც იწარმოება უნიკალური საჭაბურღილე მილები და სადაც 90 ათასი ადამიანი მუშაობდა, დღეს ბერბიჭების ქალაქად იქცა.

დიახ, საუბედუროდ, ქალაქს სარეველასავით მოუმრავლდნენ ორმოც წელს არათუ მიღწეული, ამ ასაკს საკმაოდ გადაცილებული უცოლშვილო, საკუთარ მომავალზე ხელჩაქნეული მამაკაცები.

დიახ, რუსთავი თავისი სანაქებო არიშის ციხით, საუკუნეების წინ საქართველოს აღმოსავლეთის კარიბჭედ აღიარებული, მტრისგან არაერთგზის ნაოხარი, რომელიც მივიწყების ჯურღმულიდან ამოიყვანა იოსებ სტალინმა და რომელიც იქცა არა მარტო ინდუსტრიულ, არამედ მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების ქალაქად, დღეს ბერბიჭების უგუნურობით ხელიდან გვეცლება! დიახ, ათასი ბერბიჭა, იქნებ მეტიც, ამდენი ოჯახი, უახლოეს ათწლეულში მოაკლდება ისედაც დაცარიელებულ საქართველოს, მათ ადგილას, მათ საცხოვრისს კი დაეუფლებიან არაბნი, თურქნი, სპარსნი, ინდოელნი, სხვა ტომებისა და ჯიშის ადამიანები, რომელთა წინაპრებმა ხუთი საუკუნის წინ გაანადგურეს ეს ძირძველი, საქართველოს ციხე-ბურჯი, ხელოსნობით, საბრძოლო ხელოვნებით განთქმული ქალაქი, რომელიც საქართველოს უდიდესმა მეფე დავით აღმაშენებელმა 1115 წელს მტერს ხელიდან გამოაცალა, 1235 წელს კი ბერქა ყაენმა მიწასთან გაასწორა, უკვე მეორედ წაშალა მიწისაგან პირისა, რომ არა იოსებ სტალინი, ის დღესაც ოჯარით აზერბაიჯანელ მეცხვარეთა სასაძოვრე იქნებოდა.

დიახ, ისტორიული ფაქტია, იმხანად საქართველოს პირველმა პირმა კანდიდ ჩარკვიანმაც კი არა უწყოდა რა რუსთავის შესახებ, გორელმა ბიჭმა კი იგი ფენიქსებრ ააღორძინა, მასთან ერთად მეორე მსოფლიო ომში საომრად გასაწირი ხუთი ათასი რჩეული ვაჟკაციც შეუნარჩუნა სამშობლოს. აი, იმ ვაჟკაცების და სხვა ათიათასობით ნაამაგარ, ნაჭირნახულევ რუსთავს დღეს მომავალს უკარგავს ის ათასი ბერბიჭა, რომლებიც არად დაგიდევენ სამშობლოს, მის მომავალს.

კომუნისტების დროს, როდესაც საქართველოს 5 მილიონნახევარი მოსახლე ჰყავდა, აქედან ქართველი 3 მილიონ 886 ათასი იყო, თითქოს საპრობლემო არაფერი გვქონდა, მაგრამ მთავრობამ შემოიღო უშვილობის გადასახადი, რითაც ერთგვარ სტიმულს აძლევდა ახალგაზრდებს გასამრავლებლად!

დღეს კი, როდესაც მეცნიერ-დემოგრაფების გათვლით, უახლოეს 10-15 წელიწადში ქართველებს უმცირესობაში ყოფნას გვიწინასწარმეტყველებენ, როდესაც იცლება საქართველოს მთა-ბარი, რუსთაველი ბერბიჭები მტრის წისქვილზე უშვებენ წყალს.

უძველესი კულტურის მქონე ერის მომავალი საფრთხის წინაშეა, სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება ჯეროვან ზომებს არ იღებს ამ უდიდესი საფრთხის აღსაკვეთად.

P. S. ახლახან ძირძველ, მეორე საუკუნეში მყარად ფეხშედგმულ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ცნობილი დემოგრაფის ანზორ თოთაძის წერილი, სადაც თბილისს, ქუთაისს, და სხვა ქალაქებთან ერთად მოხსენიებულია რუსთავი, რომელსაც დემოგრაფიული კატასტროფა ემუქრება და, როგორც ჩანს, მალე გაუკარიელდება... ქართული სული და გენი მიინავლება...



გივი ჯახუა,
რუსთავის საპატიო მოქალაქე, მწერალი და ჟურნალისტი

ახალგაზრდობის სააგენტოს 5 მილიონით აფინანსებენ

სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“, რომელიც მთავრობამ იმ პერიოდში შექმნა, როდესაც პარლამენტის წინ 20 ივნისის ახალგაზრდული პროტესტი მიმდინარეობდა, 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის თანახმად, 5 მილიონი ლარით დაფინანსდება. ამის შესახებ ფლანგვის დეტექტორი იუწყება.

სააგენტოში 48 ადამიანი იმუშავებს, შრომის ანაზღაურებაზე კი 1 150 000 ლარი დაიხარჯება. ახალგაზრდობის სააგენტო მაშინდელი პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის 2019 წლის 26 აგვისტოს დადგენილებით შეიქმნა.

მალევე გახდა ცნობილი, რომ სააგენტოს უხელმძღვანელებს რეზო ჩარკვიანი, რომელიც იქამდე მამუკა ბახტაძის მრჩეველი იყო ახალგაზრდობის საკითხებში.

როგორც მთავრობის დადგენილებაში წერია, სსიპ შექმნილია სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავების, განხორციელებისა და კოორდინაციის მიზნით.

სააგენტოს ფუნქციებსა და მოვალეობებში შედის ახალგაზრდული ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავება, ახალგაზრდების მავნე ზეგავლენებისგან დაცვა, სტუდენტური თვითმმართველობებისა და ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარება, აგრეთვე ახალგაზრდობის ადვოკატირება ეროვნულ, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე და ა.შ.

როგორც დადგენილებაში წერია, სააგენტოს ერთ-ერთი მიზანი ახალგაზრდებისთვის ხელსაყრელი სტარტაპ-ეკოსისტემის შექმნაა. სააგენტოს მიზნებში შედის აგრეთვე ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერა, მათი ცნობიერების ამაღლება სამოქალაქო უფლებებისა და აქტუალური საკითხების მიმართულებით და სხვა.

ალექსანდრე მოწერელია:

აფხაზეთში დაბრუნების ხიდი სამეგრელოზე გადის!

უკვე 26-ედ სოხუმის დაცემისა და აფხაზეთის ტკივილზე საუბარი ეროვნული გმირის ჟიული შარტავას მშობლიურ ქალაქ სენაკში, მისი სახელობის მუზეუმში დაიწყო და ქალაქის შუაგულში, მის ძეგლთან გაგრძელდა.

ყოველწლიურად, 27 სექტემბერს, აღინიშნება ქვეყნის მთლიანობის დარღვევისა და ათიათასობით ქართველის საკუთარ ქვეყანაში დევნილად ქცევის ტრაგიკული ისტორიის დღე.

თაიგულებითა და ყვავილებით ხელში, ბავშვებისა და მოზარდების გარემოცვაში, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციის და სენაკის რაიონის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების თანდასწრებით გმირის მუზეუმში შევიკრიბეთ.

სიტყვით გამოსვლისას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა ალექსანდრე მოწერელიამ აღნიშნა, რომ აფხაზეთის ტკივილი მოუშუშებელი იარაა საქართველოსთვის. ქვეყნის ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის დაიღვარა ათასობით მებრძოლის სისხლი. მათ შორის გამორჩეული ვაჟკაცობა გამოიჩინა ჟიული შარტავამ, რომელმაც ცოტნე დადიანის მსგავსად სიცოცხლე მსხვერპლად გაიღო. მჯერა, რომ ხვალ თუ არა ზეგ, აფხაზეთი დაგვიბრუნდება და როგორც თბილისი ოთხი საუკუნე დაპყრობილი ჰქონდა არაბებს და უფლის შემწეობით მაინც დავიხსენით, ასევე მოხდება აფხაზეთში, და ეს განხორციელდება მშვიდობიანად. ამ საქმეში სამეგრელოს, როგორც უახლოეს რეგიონს, განსაკუთრებული მისია აკისრია. **აფხაზეთში დაბრუნების ხიდი სამეგრელოზე გადის!** ჩვენ, მოთმინებითა და სწორად გათვლილი ნაბიჯებით უნდა შევძლოთ მიზნის მიღწევა და იქ ავაფრიალოთ საქართველოს ხუთჯვრიანი დროშა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა აღნიშნა, რომ აფხაზეთი ჩვენი გაუნელებელი ტკივილია. რამდენჯერაც ჩავუვლი ჟიული შარტავას ძეგლს, მუდმივად თავს ვხრი მისი გმირობისა და ყველა იმ ადამიანის ხსოვნის წინაშე, რომლებიც შეეწირნენ ქვეყნის ერთიანობას. ჩვენ მუდმივად ვეცდებით, გავაცოცხლოთ ომის გმირების სახელები და პატივი მივაგოთ მათ ხსოვნას.

აფხაზეთში დაღუპული ვაჟკაცების მოსახსენიებლად იოანე ნათლისცემის სახელობის საკათედრო ტაძარში გადავიხადეთ პანაშვიდი, რომლის შემდგომ თაიგულებით შევამკეთ გურამ გაბისკირიას, გენო ადამიასა და ნოდარ კანკიას ბიუსტები.

სამეგრელოს რეგიონს რომ დიდი მისია აკისრია აფხაზეთთან ურთიერთობაში, ცხადია, ამიტომ მხარის ეკონომიკური და სოციალური გაჯანსაღება მნიშვნელოვანი გარანტიაა ქვეყნის ერთიანობის აღდგენის გზაზე.

ამას მთელი სისავსით გრძნობს მხარის გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია, ამიტომ მისი პირადი ინიციატივით სამეგრელოს მეტი უსაფრთხოებისთვის, უკეთესი საცხოვრებელი პირობების შექმნისთვის, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის, სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობისათვის, მომავალი თაობის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის ბევრი რამ კეთდება.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სამეგრელოში ამჟამად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს მხარის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისთვის. მათ შორისაა მსხვილი ინვესტიციები და ადგილობრივი მნიშვნელობის პროექტები.

სახელმწიფო რწმუნებული თავის გუნდთან ერთად მონდომებით ახორციელებს ისეთ პროექტებს, რომელიც უშუალოდ ეხება მოსახლეობის ეკონომიკურ გაძლიერებას. დაზღვეულია 29.2 მილონამდე ლარის მოსავალი. რეაბილიტირებულია 700-ზე მეტი კილომეტრის გზა. გაზიფიცირებულია 83.299 აბონენტი. 2020 წლის ბოლომდე დასრულდება მხარის მთლიანი გაზიფიცირება. დაფინანსდა ხეხილის 65 ახალი ბაღის გაშენება. მეგრული ფუტკრის აღდგენისთვის სოფელ მუხურში ეწყობა ფუტკრის სამეცნიერო კვლევითი ბაზა. დაფინანსდა ჩაის პლანტაციის 402 ჰექტარი ფართობის რეაბილიტაცია. დაგეგმილია, ამ მიმართულებით მომავალ წელს დაფინანსდეს ორჯერ მეტი ფართობის აღდგენა. ნედლეულის გადასამუშავებლად სათანადოდ გაიმართება ჩაის ფაბრიკები. შეღავათიანი კრედიტით ისარგებლა 5884 პირმა. აქტიურ ფაზაში შედის ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა და სხვა.

ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან ერთად მნიშვნელოვანია ჯანდაცვისა და განათლების სფეროსადმი განსაკუთრებული ზრუნვა. ამ მხრივ გალისა და სამურზაყანოს ქართველი მოსახლეობისთვის აუცილებელია ხელმისაწვდომი სერვისების მიწოდება, რომ ენგურს გაღმა მცხოვრებმა თანამემამულეებმა მუდმივად იგრძნონ ქართული სახელმწიფოს მათდამი ყურადღება.

მხარის გუბერნატორს ალექსანდრე მოწერელიას მიაჩნია, რომ ადამიანებთან უშუალო კომუნიკაცია, ქალაქსა და სოფლებში ჩასვლა, მათი პრობლემების პირადად მოსმენა და შემდგომ დახმარება, ურთიერთობის ყველაზე კარგი ფორმაა. ამიტომ სახელმწიფო რწმუნებული თითქმის ყოველდღიურად ხვდება წალენჯიხის, ხობის, აბაშის, სენაკისა თუ ზემო სვანეთის მოსახლეობას.

ამგვარი პირადი ურთიერთობა შედეგს აუცილებლად გამოიღებს, რაც სამომავლოდ კარგი ბერკეტია მხარის აღორძინებისა და აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის ერთგულების აღსადგენად.

ბორის დავითაია,
აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი.

ხომ გვაჩვენა ამ 30-მა წელმა, რომ „ვილაც მოვა და გვიშველის“ არ მუშაობს!

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის ხელშეწყობით, წამოიწყო სამოქალაქო კამპანია „ეს ქვეყანა შენია! (გაიზიარე პასუხისმგებლობა)“.

პროექტის პრეზენტაცია რამდენიმე დღის წინათ გაიმართა და მისი მიზანია: სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, სამოქალაქო ღირებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის პოპულარიზაცია და სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობა.

კამპანია არის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის“ ნაწილი. ამ ინიციატივის ფარგლებში პროექტის მონაწილეებმა შეისწავლეს საზოგადოების დამოკიდებულება სამოქალაქო ღირებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ. ინიციატივის განხორციელებაში ჩართული ერთ-ერთი ორგანიზაციის „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის“ წარმომადგენელი თემურ ჯალიაშვილი „რადიო თავისუფლების“ ეთერში ამბობს, რომ სწორედ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების საფუძველზე შეიქმნა კომუნიკაციის სტრატეგია და ჩამოყალიბდა კამპანიის მიზნები. რატომ არის საჭირო მოქალაქეებისთვის იმის თქმა, ახსნა, რომ ეს ქვეყანა მათია?

„ეს არის თუნდაც ჩვენი წარსულის ბრალი, როცა ჩვენი არ იყო — არც ქვეყანა და არც არაფერი. ახლა გავდივართ იმ რთულ პერიოდს, როცა თითოეულმა მოქალაქემ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს ქვეყანა ჩვენია, ანუ უფლება გვაქვს ამ ქვეყანაზე და, მეორე მხრივ, ეს გულისხმობს პასუხისმგებლობას — თუ შენია, მაშინ შენც რაღაც უნდა გააკეთო იმისთვის, რომ ისეთი იყოს, როგორიც გინდა. მე მჯერა ამის!“.

თემურ ჯალიაშვილი აღნიშნავს, რომ მოქალაქეების აზრის შესწავლამ აჩვენა, მოქალაქეების დიდი ნაწილისთვის სამოქალაქო საზოგადოება და აქტივიზმი გაიგივებულია ძირითადად იმ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობასთან, ვინც აქტიურად უწევს მეთვალყურეობას და აკრიტიკებს ხელისუფლებას, რაც მხოლოდ ნაწილია სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობისა.

„რაღაც მომენტში სამოქალაქო საზოგადოება და ეს ორგანიზაციები და აქტივიზმი ფართო მოსახლეობამ აღიქვა როგორც უცხო სხეული. გაჩნდა სტერეოტიპები — „ქართველობას გვართმევენ“, „გარყვნილებას ავრცელებენ“, „უცხოურ გრანტებს ჭამენ“ და ა.შ.. ისინი არ თვლიან, რომ სამოქალაქო საზოგადოება არის ინსტრუმენტი ნებისმიერი მოქალაქისთვის, რომ რაღაც გააკეთოს თავისი ინტერესების დასაცავად. მოსახლეობამ მაინცდამაინც კარგად არ იცის, რას აკეთებენ ეს არასამთავრობო ორგანიზაციები თუ აქტივისტები. განსაზღვრავენ იმით, რაც ტელევიზიით შუქდება“.

რა კონკრეტული შედეგი შეიძლება მოიტანოს ამ კამპანიამ?

„რომ მოვიარეთ მთელი ქვეყანა, ვნახეთ უამრავი კარგი ადამიანი, ახალგაზრდა, აქტიური, რომელსაც აქვს სურვილი, აქვს უნარი, რაღაც შეცვალოს. გვინდა ამ ადამიანების გამოყვანა ასპარეზზე, რათა ისინი სხვებისთვის მაგალითი გახდნენ და, მეორე მხრივ, თავად ისინი გავაძლიეროთ ამ მხარდაჭერით“.

ნინო გელაშვილი

რატომ გართულდა მართვის მოწმობის ასაღებად ელექტრონული რეგისტრაცია

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით, ევროდირექტივის შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ შეიმუშავა საკანონმდებლო პაკეტი, რომლის ფარგლებშიც იცვლება მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდის წესი და საგამოცდო პროცესს ემატება ახალი ეტაპი, რომელიც რეალურ საგზაო პირობებში გამოცდის ჩაბარებას გულისხმობს.

როგორც მომსახურების სააგენტოში აცხადებენ, ცვლილებების დაანონსებისთანავე მნიშვნელოვნად მოიმატა მომსახურების სააგენტოში მართვის მოწმობის აღების მსურველთა რაოდენობამ. ამის გამო ელექტრონული ჯავშნის სისტემის ამოქმედების შემდეგ, მართვის მოწმობის მისაღები თეორიული გამოცდის რაოდენობა გაზრდილია 19%-ით, ხოლო პრაქტიკული გამოცდის რაოდენობა — 20%-ით.

სააგენტოს განმარტებით, დღის განმავლობაში, ყველა სტრუქტურულ ერთეულში, მართვის მოწმობის თეორიულ გამოცდაზე იღებენ იმდენ მოქალაქეს, რამდენისთვისაც შესაძლებელია სერვისის შეუფერხებლად მიწოდება.

„თეორიულ გამოცდაზე ვიზიტის დაჯავშნა მოქალაქეებს სახლიდან გაუსვლელად, მათთვის სასურველ დროს შეუძლიათ, თუმცა, გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე, ადგილები ამ ეტაპზე სწრაფად იჯავშნება. თეორიული გამოცდის რიგის ელექტრონულ სისტემას ახალი, თავისუფალი ადგილები ავტომატურად, ყოველ კვირა დღეს ემატება.

მომსახურების სააგენტომ მართვის მოწმობის მისაღები თეორიული გამოცდის რიგის ელექტრონული სისტემა მიმდინარე წლის 20 მაისიდან დანერგა, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, მათთვის სასურველ სერვისცენტრში, სასურველ დროს დაჯავშნონ ვიზიტი სააგენტოში“, - აცხადებენ სააგენტოში.



რატომ იკლავენ თავს მოზარდები?!

14 წლის მოზარდი მე-7 სართულიდან გადმოვარდა, 16 წლის მოზარდი კორპუსის სახურავიდან გადმოხტა, 17 წლის მოზარდმა თავი ჩამოიხრჩო, – ასეთია ბოლო ერთი კვირის შემზარავი სტატისტიკა, რაც ჩვენი საზოგადოების დიდი ტრაგედია გახდა. ფსიქოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ამბობს, რომ ბავშვს ძალიან ფაქიზი სული აქვს და როგორც კი რაიმე ხდება, ყველაფერზე მძაფრ, რადიკალურ ემოციურ რეაქციას იძლევა. ამიტომ უფრო ხშირია ბავშვობის ასაკში თვითმკვლელობის ფაქტები, რისი მიზეზიც წარმოუდგენლად ბევრია.

დღეს ცნობილი ფსიქოლოგი და ექსპერტი რამაზ საყვარელიძე გვესაუბრება.

რამაზ საყვარელიძე:

გარდატეხის ასაკში მშობლების სითბო და ყურადღება გადამწყვეტია!

პრობლემაა ისიც, რომ თვითონ სახელმწიფო მოხელეებიც არიან უცოდინარნი!

– მოზარდების მკვლელობა, თვითმკვლელობა და მკვლელობამდე მიყვანა...

ვიღაც მოკლეს იმიტომ, რომ თანატოლს ტელეფონი არ მისცა, ვიღაც ძალადატანების მსხვერპლი გახდა და ა.შ. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ გარდაცვილი და მოძალადე ბავშვების დედა ან მამა საზღვარგარეთ სამუშაოდ იმყოფებიან. როგორ ნაწილდება ოჯახის, სახელმწიფოს და სკოლის პასუხისმგებლობა, როცა მოზარდებში ძალადობა გახშირდა?

– რა თქმა უნდა, ერთი მეორეს არ გამორიცხავს. მით უმეტეს, რომ ბავშვს ძალიან ფაქიზი სულიერი ქსოვილი აქვს თავში. როგორც კი რაიმე ხდება, ყველაფერზე ემოციურ რეაქციას იძლევა, თან მძაფრ რადიკალურ ემოციას. ამიტომ არის უფრო ხშირი ბავშვობის ასაკში თვითმკვლელობის ფაქტი. მიზეზი ბევრია, თქვენც შეეხეთ თამაშების თემას.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ვხედავთ სურათს, როდესაც ბავშვი მხოლოდ კომპიუტერთან ურთიერთობს და ამ ურთიერთობაში რაღაც პირობები არის ჩადებული, რომ ბავშვი გადაწყვეტს, გამოესალმოს სიცოცხლეს. ეს ის ასაკია, როდესაც ძალიან ბევრი რამ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიცოცხლე. ახალგაზრდობაში სიცოცხლის ფასი იმდენად არ იციან, რამდენადაც მოგვიანებით. არც იმათ იციან, რომლებიც გარკვეული ემოციების გავლენით დგამენ ამ ნაბიჯს.

– ალბათ, ემოციის გაღვივება ბავშვებში პრობლემას არ წარმოადგენს...

– გეთანხმებით, რთული არ არის, პრობლემა იწყება მერე, უკვე ბავშვისთვის და მისი ოჯახისთვის. ექიმებიც ვერ ახერხებენ ბავშვის ამ ემოციასთან გამკლავებას, არადა, მათგან იწყება ეს თემა, რასაც თვითმკვლელობის თემა ჰქვია. ითვლება, რომ თვითმკვლელობა სულიერად ჯანმრთელ ადამიანს არ უნდა მოუნდეს. თუ მოუნდა და გადაწყვიტა, ე.ი. მის სულიერ ცხოვრებაში ხდება იმ ტიპის აშლილობა, რომელიც სამედიცინო ჩარევას საჭიროებს. ამიტომ, უმეტეს წილად, ექიმებს ეხება ეს თემა.

– ძალიან მცირე საბაბიც კი საკმარისია, რომ ბავშვმა გადადგას ასეთი რადიკალური ნაბიჯი. ეს უკვე რაზე მიუთითებს?

– იყო ასეთი ფაქტი და არა საქართველოში – მოწაფემ მიიღო ოთხიანი და ამის გამო სკოლის ფანჯრიდან გადახტა და თავი მოიკლა. ეს ფაქტი უმრავლესობისთვის ღიმილის მომგვრელია, რომ ნიშნის გამო თავი მოიკლა, მაგრამ ეს ტრაგედია მშობლების არასწორი მოქმედების გამო მოხდა. კონკრეტული პიროვნება იჩენს ზედმეტ ემოციურობას, რომლის გამოც შეიძლება მას პატარა რაიმეც კი ძალიან დიდ ტრაგედიად მოეჩვენოს და გადადგას ასეთი ნაბიჯი. ზედმეტი ემოციურობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის მშობელთან ყოფნას. მშობელი მარტო ჩვილობის პერიოდში არ არის მთავარი – როცა ჩვილი ტირის, ხელში აიყვანს და მშვიდდება. უკვე მკაფიოდ ჩანს, რომ მშობელი ბავშვის დამშვიდების, მისი სიწყნარის, ემოციური მდგრადობის სიმბოლოა და მისი გვერდით ყოფნა ამ სიმშვიდის განსახირებაა.

როცა დედა საზღვარგარეთ არის წასული, მამა სამსახურშია, ბავშვი მიტოვებულია და ეს არის ყველაზე ემოციური პერიოდი, როცა ბავშვს სუიციდური აზრები აწუხებს, ამ პერიოდში ის მარტო რჩება თავის პრობლემებთან და უწევს მარტო გადაწყვეტა. ასეთი მომენტებისთვის მშობელი გვერდით ძალიან ბევრ რამეს ნიშნავს. საერთოდ, მშობლის გვერდით ყოფნა და იმის გრძნობა, რომ მას მშობელი ეფერება, მნიშვნელოვანი ემოციური სიმყარის წყაროა.

იყო ასეთი მკვლევარი, გვარად ფარლო, რომელმაც მაიმუნებზე ჩაატარა კვლევა. 4 ახლად დაბადებული მაიმუნი აიყვანა და განსხვავებულ პირობებში ჩააყენა. ერთს მშობელი წაართვა, მეორე დედასთან იზრდებოდა, დანარჩენი ორი ხელოვნურ პირობებში, ანუ მაკეტი დაუდო. ერთ მაკეტში დამონტაჟებული იყო რძე, მეორეს გარშემო შემოხვეული ჰქონდა ბალბიანი ნაჭერი. ამ ექსპერიმენტით ვისაც ობლობა ერგო, ის იყო ნევროტული, აგრესიული, ურთიერთობებში ვერ შედიოდა, რაც აგრესიის ერთ-ერთი ფორმა იყო. აღმოჩნდა, რომ ნორმალური იყო ის მაიმუნი, რომლის დედა იყო თბილი, ანუ დედა, რომელთან ჩახუტება მაიმუნს შეეძლო. მაიმუნი, რომელსაც მხოლოდ მკვებავი დედა ჰყავდა, ხასიათი ისე ჩამოუყალიბდა, როგორც ობოლ მაიმუნს. აქედან გაკეთდა დასკვნა, რომ ცოცხალ არსებას დედა სითბოსთვის სჭიდება.

– ეს კვლევა ადასტურებს, რამდენად მნიშვნელოვანია შვილისთვის დედა. სუიციდისკენ მიდრეკილი ბავშვების მთავარი პრობლემა არის სითბოს არარსებობა, რატომაც ექმნებათ ფსიქოლოგიური პრობლემა...

– ჩვენ, მოზრდილი ადამიანები, მთელი დღე გადაღლილი რომ ვართ, მთელი რიგი უარყოფითი შთაბეჭდილება გვიგროვდება და მერე საღამოს ვატყობთ, რომ ადვილად გვეშლება ნერვები. ქმარი ცოლს ეკამათება, ცოლი ქმარს და ა.შ. იგივე ხდება წლების განმავლობაში ბავშვებში, როდესაც ვერ გრძნობს მშობელს თავის გვერდით და განცდა აქვს, რომ დაუცველია, ეს ბავშვის ემოციური დაძაბულობის მიზეზია. შემდგომ, უკვე, ცხოვრებაში რამე თუ მოხდა, მეტ-ნაკლებად გამაღიზიანებელი, ეს ბავშვი კიდევ უფრო დაიძაბება – დაღლის, იმედგაცრუების და უსუსურობის ფონზე იძლევა რეაქციას, რაც, ხშირად შეიძლება იყოს გადაჭარბებული. გარდამავალი ასაკის პერიოდში სად არის მშობელი და როგორ იქცევა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს, ბავშვი გრძნობს თუ არა მშობლის მხარდაჭერას.

– ყველა შემთხვევაში, როდესაც მშობლის და შვილის განშორების თემა დგება, მიზეზი არის ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობა. თავის მხრივ, ოჯახის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი ხდება მოძალადე, ან ძალადობის მსხვერპლი, ზოგი თვითმკვლელობით ამთავრებს სოცოხლეს. როდესაც დედა იძულებულია, შვილი დატოვოს და სხვა ქვეყანაში წავიდეს სამუშაოდ, აქ რამდენად დიდია სახელმწიფოს დანაშაული?

– სკაიპი გახდა ოჯახის წევრების ურთიერთობის ერთ–ერთი ფორმა. მაგრამ თქვენ როგორც დასვით საკითხი, სახელმწიფოს როლი – ბევრნაირად შეიძლება ეს საკითხი გაიშიფროს. ეკონომიკა რომ უკეთესი ყოფილიყო, მიგრანტების ამ ნაკადს არ მივიღებდით. მაგრამ ისიც ვნახოთ, მსოფლიოს რომელი ქვეყნიდან არიან მიგრანტები. აფრიკის და მუსულმანური ქვეყნებიდან დიდი ნაკადით მიდიან ემიგრაციაში. ჩვენ, შეიძლება, ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესი გვაქვს, მაგრამ ჩვენ ჩვენს გზას ვირჩევთ, ეს არ არის მარტო იმის შედეგი, ეკონომიკა როგორია. შეიძლება, უკეთესი მდგომარეობა იყოს, მაგრამ მაინც იყოს მიგრაცია. გამოდის, რომ სანამ ევროპის დონეზე არ იქნება საქართველო, მანამდე მიგრაციის პრობლემა უნდა გვქონდეს? **თვითონ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ იმის სულისკვეთება, რომ იქ, სადაც არიან, იშოვონ სამსახური, ააწყონ თავიანთი ცხოვრება, ვინც ამაში ხელს უშლის, მაგალითად, სახელმწიფო, თავზე დაამხოს ყველაფერი და თვითონ აიწყოს ცხოვრება და იზრუნოს ამ ცხოვრების გაუმჯობესებისთვის. ასე შეიძლება ამერიკა. ადამიანთა მენტალიტეტი უნდა დადგეს ისე, რომ ჩვენს ძვეყანას ჩვენ თვითონ მოვუაროთ, სხვაგან წასვლა არ არის საჭირო.**

ის ხალხი, რომელიც წასულია, ძირითადად წასულია რეგიონებიდან. ამ დროს, იმ რეგიონებში რომ ჩახვიდე, ნახავთ ასეთ სურათს – კაცები კარტს, ან ნარდს თამაშობენ

ბავშვებში ფსიქიკურ აშლილობებს ჰაერის დაბინძურებასაც უკავშირებენ

25 სექტემბერს გამოქვეყნებული კვლევის მიხედვით, დაბინძურებული ჰაერის სუნთქვა მცირე ხნითაც კი ბავშვებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების რისკს ზრდის. იმ დღეებში, როცა დაბინძურება იზრდება, შფოთვითი აშლილობების და დეპრესიის ინციდენტებიც მატულობს და იზრდება სასწრაფო დახმარების გამოძახების თუ ექიმთან კლინიკაში ვიზიტების რიცხვი.

ცინცინატის უნივერსიტეტის ბავშვთა საავადმყოფოს სამედიცინო ცენტრის ექიმები პაციენტებს 5 წლის მანძილზე აკვირდებოდნენ. ისინი ჰაერის ერთ კონკრეტულ დამბინძურებელს სწავლობდნენ, სახელად პი-ემ 2.5, ინგლისურად ის ასე აღინიშნება: PM 2.5. მისი მიკროსკოპული ნაწილაკების დიამეტრი 2.5 მიკრომეტრზე მცირეა (მიკრომეტრი მილიმეტრის მეათასედი ნაწილია).

ეს მიკროსკოპული დამაბინძურებელი ჰაერით შედის ფილტვებში, აღწევს სხვადასხვა ორგანოებში და სისხლის ნაკადში. პი-ემ 2.5-ს შეუძლია ანთებების, გაღიზიანებების თუ რესპირატორული პრობლემების გამოწვევა. დამბინძურებელთან ხანგრძლივმა ყოფნამ შესაძლოა, კიბო და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, მაგალითად, ინფარქტი გამოიწვიოს.

პი-ემ 2.5-ის უსაფრთხო რაოდენობა დადგენილი არ არის. როცა საუბარია მის მოკლევადიან შესუნთქვაზე, იგულისხმება საათები და დღეები. დამბინძურებელთან გრძელვადიანი შეხება კი თვეებს და წლებს გულისხმობს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, პი-ემ 2.5 გარემოში ხვდება როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური გზით. ძირითადად მისი წყაროა შიდა წვის ძრავების გამონაბოლქვი როგორც დიზელის, ასევე ბენზინის. ის ქვანახშირის წვის შედეგადაც გამოიყოფა და თან ახლავს სხვა ინდუსტრიულ პროცესებს, როგორიცაა მშენებლობა, მაღაროების დამუშავება, ცემენტის წარმოება, აგურის წარმოება და ა.შ.

განსაკუთრებით მაღალია პი-ემ 2.5-ის კონცენტრაცია გზების გასწვრივ, რადგან საწვავის წვის გარდა, ის ასფალტის ეროზიის, მუხრუჭების და საბურავების ცვეთის შედეგადაც გამოიყოფა. მტვერი მისი გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი



„ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი შემოქმედება მომავალში დავიწყებას არ მიეცემა და აღიქმება, როგორც მცდელობა სიბნელისაგან თავის დაღწევისა და სინათლისაკენ სწრაფვისა“.
გია ყანჩელი

და ელოდებიან, ცოლი ფულს როდის გამოუგზავნის. რომ უთხრა: აგერ ფული და წადი დაბარე, ან რამე სამსახური შესთავაზო, არ უნდა. ურჩევნია, ცოლმა გამოუგზავნოს და რიგ შემთხვევაში ცოლი აგზავნის ფულს ამ კაცისთვის და მისი საყვარლისთვისაც. ეს ვისი ბრალია? კონკრეტული ადამიანების? – არა. ესეც სახელმწიფოს ბრალია, რომ მან მოქალაქეებში ეს სულისკვეთება ვერ დანერგა. ჩვენთან ხომ სახელმწიფოს მარტო ეკონომიკის გამო ვიხსენებთ, მაგრამ სულიერებაც სახელმწიფოს მთავარი საქმეა.

– იქნებ გამოსავალი სკოლებში ფსიქოლოგების შეყვანაა, რომ თაობა, რომელიც იზრდება მიდრეკილი არ იყოს ძალადობისკენ?

– რა თქმა უნდა, განათლების თვალსაზრისითაც არის ეს პრობლემა დასანახი. ცოტა ხნის წინათ მედიცინის კუთხე ვახსენე, ფსიქოლოგიური კუთხეც სახსენებელია. მე ვირჩევდი, რომ სახელმწიფოს ჯერ ნარკომანიიდან თვითმკვლელობის თემამდე პრობლემატიკა დაელაგებინა. აშკარად არის ეს პრობლემა, მერე ეს პრობლემა გადაეცა სოციოლოგებისთვის, ფსიქოლოგებისთვის და ეკონომისტებისთვის. ანუ, იმ პროფესიონალებისთვის, ვინც საზოგადოებას სწავლობენ. იმათ შეესწავლათ, როგორია ამ პრობლემის მექანიზმი. მას მერე, რაც მეცნიერები დადებენ დიაგნოზს, გადასულიყო მკურნალობაზე. ჩვენ ახლა იმ ექიმს ვგავართ, რომელიც დიაგნოზის გარეშე აძლევს წამალს ავადმყოფს.

გვაქვს იმის საშუალება და რესურსი, რომ ჯერ შევისწავლოთ პრობლემა, გავარკვიოთ ამ პრობლემის არსი და მერე გადავიდეთ მკურნალობაზე, სადაც განათლების სამინისტროს თავისი ნაბიჯები აქვს გადასადგმელი. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მასმედიის როლი, სკოლის პრობლემები, რომელიც თქვენ წამოსწიეთ, აქ იმდენად არ არის, რამდენადაც მშობლების პრობლემაა. ჩვენ გვავიწყდება, რომ 6 წლამდე და მერე დიდხანს, ბავშვი იზრდება ოჯახში. სიტყვა აღზრდას რომ ვახსნებთ, სკოლა გვახსენდება და იმ სკოლაში 6 საათია ბავშვი, მაგრამ დანარჩენი დრო ხომ ოჯახშია. ის ოჯახი რას აძლევს ბავშვს?!

როგორც წესი, ბავშვს სჯერა თავისი ოჯახის წევრების და მიაჩნია, რომ ყველაზე ჭკვიანები არიან. ამ ყველაზე ჭკვიანებს რისკენ მიჰყავთ ბავშვი, ვიცით? აი, აქ საჭიროა მასმედია. მშობლების განათლებას და მენტალიტეტს ცვლის მასმედია, რასაც ჩვენი მასმედია, რა თქმა უნდა, არ აკეთებს. ასე რომ, რამდენიმეფაქტორიანი მოვლენაა, მარტო სკოლა არ არის, არის მშობლები, რომელთა შეცდომები იძლევა იმას, რომ ბევრი თვალსაზრისით, გაუნათლებელი თაობა გვყავს...

– ახალგაზრდათა გაუნათლებლობა მარტო ჩვენი პრობლემაა?

– არა. ასეთი პრობლემა აწუხებდა ამერიკას, ევროპას და ამიტომ მოიგონეს სხვადასხვა შოუები, ინტელექტუალური კონკურსები, რომ აი, შეჯიბრებებით ინტელექტუალური წონა გაუზარდონ ბავშვებს, რომ საზოგადოებაში ინტელექტუალური და განათლებული ადამიანი კარგად აღიქმებოდეს. ასეთ ინტელექტუალურ შოუებში რამდენიმე მილიონს იგებს გამარჯვებული. თანხით ცდილობენ გამოხატონ დამოკიდებულება. ასეთი კომპონენტები მუშაობს, ანუ მთლიანი ფრონტით არის საქმე გასაკეთებელი და ამ მთლიან ფრონტს სახელმწიფოს გარდა სხვა ვერავინ ვერ მოუვლის. ოღონდ ჩვენთან, დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამ სახელმწიფომ არ იცის ასეთი მიდგომის აუცილებლობის შესახებ.

– ნარკომანია ახსენეთ. როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვა მარიხუანის ლეგალიზაცია, ამას მოჰყვა უკუშედეგი საჯარო სივრცეში, ბავშვების თვალწინ ამზადებენ მარიხუანას და ეწევიან. ეს მძიმე ფაქტი დაუშვა სახელმწიფომ და არ გათვალა მისი უკუჩვენება. 16 წლამდე ბავშვზე სიგარეტს არ ვყიდით, მაგრამ ეს 16 წლის ბავშვი მარიხუანას თავისუფლად ეწევა. აქ არ არის სახელმწიფოს ბრალეულობა?

– არ ვიცი, არის თუ არა და იცით რატომ? – დაუდევრობა დანაშაულად არ ითვლება და სახელმწიფოს მხრიდან ეს არის აბსოლუტური დაუდევრობა. მიზეზი სახელმწიფო არის და გეთანხმებით, მაგრამ დაუდევრობის გამო იქცევა ეს სახელმწიფო ასე. ის გაუნათლებლობა, რომელიც თქვენ პრობლემად ახსენეთ, მარტო მოქალაქეების გაუნათლებლობა ხომ არ არის, თვითონ სახელმწიფოს წარმომადგენლები არიან გაუნათლებები.

ვისი ბრალია? – ჩვენი ბრალია, ანუ ხელისუფლების ბრალია, რომელმაც ისიც არ იცის, რა უნდა მოსთხოვოს იმ ადამიანებს, რომლებმაც რაღაც უნდა გადაწყვიტონ. სახელმწიფოს ეს უცოდინრობა გვიბრუნდება მძიმე შედეგებით ჩვენ, ადამიანებს. ასე არ არის, რომ ხელისუფლებამ რაღაცა იცის და სხვამ არა. პრობლემა სწორედ ისაა, რომ ძალიან ბევრი რამე ხელისუფლების უცოდინრობის პროდუქტია. ამას როგორ უნდა ეშველოს, ეს უკვე არ ვიცი. გადაბმული ჯაჭვია: მშობელი უცოდინარია და ამიტომ შვილს კარგად ვერ უვლის; მშობელი, რომ მცოდნე იყოს და ეს პრობლემები კარგად გადაწყდეს, ხელისუფლება უნდა ერკვეოდეს ამ პრობლემებში. როგორც ჩანს, ამ პრობლემის მოგვარების უნარი ხელისუფლებასაც არა აქვს. დიახ, ამ უცოდინრობაში ხელისუფლება არის დამნაშავე.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

ხელშემწყობი გარემოა, იმდენად, რომ დამბინძურებელს შეუძლია საჰარის უდაბნოდან სამხრეთ ევროპაში ჩააღწიოს.

დავუბრუნდეთ კვლევას. პი-ემ 2.5-ის კავშირი ზრდასრულთა ფსიქიკური აშლილობის პრობლემებთან აქამდეც შესწავლილი და დადასტურებული იყო. მეცნიერებს ამჯერად აინტერესებდათ ამ დამბინძურებლის კავშირი ბავშვების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებთან.

როგორც უკვე ვთქვით, ცინცინატის უნი-



ვერსიტეტის ფსიქიატრიულ განყოფილებაში, 5 წლის მანძილზე აღრიცხავდნენ პაციენტების ვიზიტებს. შემდეგ სპეციალისტები ამოწმებდნენ პი-ემ 2.5-ის კონცენტრაციას მათ საცხოვრებელ ადგილებში. ძალიან მალე მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ დამბინძურებლის კონცენტრაციის მატების დროს, მომდევნო დღეებშივე იზრდებოდა ფსიქიატრიულ განყოფილებაში ექიმებთან ვიზიტების რაოდენობა.

პი-ემ 2.5-ის კონცენტრაციის მატების პირველ დღეებში ვიზიტები უფრო შიზოფრენიასთან იყო კავშირში. მომდევნო დღეებში კი ხშირდებოდა დეპრესიის მქონე პაციენტების ვიზიტები, რომლებიც ამბობდნენ, რომ ბოლო დროს მეტად ფიქრობდნენ თვითმკვლელობაზე. ასევე იზრდებოდა შფოთვითი აშლილობების მქონე პაციენტების ვიზიტების რაოდენობა. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ დაბალშემოსავლიან ოჯახებში ბავშვები ჰაერის დაბინძურების მიმართ უფრო მგრძნობიარეები არიან და პი-ემ 2.5-ის კონცენტრაცია მათ ჯანმრთელობაზე უფრო დიდ უარყოფით გავლენას ახდენს.

ბავშვებში და მოზარდებში ჰაერის დაბინძურების კავშირზე ფსიქიკურ პრობლემებთან აქამდე გამოქვეყნებულ არაერთ ნაშრომში იყო საუბარი. ერთ-ერთი ბოლო კვლევის ავტორები ბრიტანეთში მდებარე ქინგსის კოლეჯის მეცნიერები არიან. მათი ნაშრომი მარტში ჯერ კოლეჯის გვერდზე გამოქვეყნდა, მოგვიანებით კი სამეცნიერო ჟურნალ „ჯამას“ ფსიქიატრიულ ნაწილში დაიბეჭდა. მართალია, ეს კვლევა არ ეხებოდა კონკრეტულად პი-ემ 2.5-ს, მაგრამ ადასტურებდა აზოტის ოქსიდებით დაბინძურების კავშირს მოზარდების ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან, კონკრეტულად – ფსიქოზთან. აზოტის ოქსიდების მაღალი კონცენტრაციაც საგზაო მოძრაობას და შიდა წვის ძრავების გამონაბოლქვს უკავშირდება.

ცინცინატის უნივერსიტეტის კვლევის დეტალური გაცნობა შესაძლებელია შეერთებული შტატების ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის ვებგვერდზე. მისი ავტორები არიან: ქოულ ბროკემპი, ჯეფრი სტროუნი, ენდრიუ ბექი და პატრიკ რაიანი.

მაია ძვარცხავა

გიორგი გახარია: გენიალური შემოქმედის გია ყანჩელის მუსიკა არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიოს საგანძურად იქცა

„დიდ მწუხარებას გამოვთქვამ უდიდესი ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის გარდაცვალების გამო. გენიალური შემოქმედის მუსიკა არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიოს საგანძურად იქცა. თანავუგრძნობ გია ყანჩელის ოჯახს, ახლობლებს და მთელ საქართველოს,“ – ნათქვამია პრემიერ-მინისტრის სამძიმარში.

ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო და შემოდგომაზე ჩუმად წასულიყო დიდი კომპოზიტორი

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ლეგენდარული ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის გარდაცვალებას ეხმიანება.

„ალბათ, ასეც უნდა ყოფილიყო და შემოდგომაზე ჩუმად წასულიყო დიდი კომპოზიტორი... ჩვენ კი დაგვიტოვა უკვდავი ჰანგები...“.

კახა კალაძე: აღიარება არის ის სიყვარული, რასაც გია ყანჩელი ქართველი ხალხისგან იღებდა

თბილისის მერი კახა კალაძე ცნობილი ქართველი კომპოზიტორის გია ყანჩელის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს. კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე გია ყანჩელის ოჯახს და ქართველ საზოგადოებას სამძიმარი გამოუცხადა.

„მინდა, მწუხარება გამოვთქვა ქართველი კომპოზიტორის, განწყობის, მუსიკის, დიდოსტატის, ჩვენთვის ყველასთვის საყვარელი ადამიანის გია ყანჩელის გარდაცვალების გამო. ძალიან სამწუხარო. ის იყო მრავალი საერთაშორისო პრემიის ლაურეატი და მსოფლიოში აღიარებული შემოქმედი. აღიარება არის ის სიყვარული, რასაც ის ქართველი ხალხისგან იღებდა. ასევე, მთავარი აღიარება არის ის სიყვარული, რაც მისმა მუსიკამ დატოვა ადამიანებში. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ გია ყანჩელის ოჯახს, ახლობლებსა და ნათესავებს, მეგობრებს და ქართველ საზოგადოებას. ნამდვილად სამწუხარო“, – განაცხადა თბილისის მერმა.

„გია ყანჩელის დაუვიწყარი მუსიკა მუდამ იქნება ერთგული თანამგზავრი თითოეული ჩვენგანისა და მომავალი თაობებისათვის“

„განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს უდიდესი შემოქმედის, ბატონი გია ყანჩელის გარდაცვალების გამო.

თითოეული ქართველისთვის საყვარელი და საამაყო, უზენაესი საკაცობრიო ფასეულობებით, ადამიანისადმი სიყვარულით შექმნილი მისი შემოქმედება ქართული და მსოფლიო მუსიკალური საგანძურის ფასდაუდებელი შენაძენია.

გია ყანჩელის დაუვიწყარი მუსიკა მუდამ იქნება ერთგული თანამგზავრი თითოეული ჩვენგანისა და მომავალი თაობებისათვის.

ამ მძიმე წუთებში თანადგომას ვუცხადებთ ბატონი გიას ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, სრულიად საქართველოს“, – ნათქვამია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სამძიმრის წერილში.

აშშ-ის საელჩო: მსოფლიომ ლეგენდარული კომპოზიტორი დაკარგა

„დღეს მსოფლიომ ლეგენდარული კომპოზიტორი გია ყანჩელი დაკარგა. მისი მუსიკა კვეთდა დროისა და კულტურის საზღვრებს და ის სამუდამოდ გააგრძელებს ცხოვრებას.

დღეს, როგორც არასდროს „ყვითელი ფოთლები“ სიჩუმეს ჰგავს“, – ნათქვამია საელჩოს განცხადებაში.

„მაესტრო, დიდი მადლობა ყველაფრისთვის“

„შინდისის გმირები“ პროექტის ავტორი და ფილმის პროდიუსერი ედმონდ აბაშიძე-მინაშვილი გია ყანჩელის გარდაცვალებას სოციალურ ქსელში ეხმიანება და მასთან შეხვედრას იხსენებს. როგორც რეჟისორი წერს, მან ლეგენდარულ კომპოზიტორს „შინდისის გმირების“ მუსიკალური გაფორმება სთხოვა, რაც გია ყანჩელმა სრულიად უანგაროდ გააკეთა. „როდესაც ბატონ გია ყანჩელს სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „შინდისის გმირების“ მუსიკალურად გაფორმება ვთხოვე, მიპასუხა:

„მაჩვენე ფილმის შავი მონტაჟი, თუ ჩემი თავი დავინახე, აბსოლუტურად უანგაროდ ვიმუშავებ და თუ ვერ დავინახე საკუთარი თავი, მილიონი რომ გადამიხადო, ვერ გავაკეთებო! მეორე დღესვე დავუტოვე ფილმი. იმავე ღამეს, გვიან მირეკავს. მცირე პაუზის შემდეგ მხოლოდ ერთ წინადადებას მეუბნება: ხვალ დილით, 11 საათზე, გელოდები, ჩემთან სახლში. მეორე დღესვე დავიწყეთ მუშაობა. „შინდისის გმირების“ პირველ ნაწილს ლეგენდარული გია ყანჩელის მუსიკა ამდიდრებს! მაესტრო, დიდი მადლობა ყველაფრისთვის, მშვიდად განისვენეთ!“ – წერს რეჟისორი.

პარლამენტში გია ყანჩელის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს

დღევანდელ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გია ყანჩელის ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

„დღეს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა გამორჩეული ქართველი კომპოზიტორი, ბატონი გია ყანჩელი. თუ ვინმემ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას მეტი ხელოვნება, მეტი მელოდია მოუტანა, ის უთუოდ იყო ერთ-ერთი. ნამდვილად სევდიანია, რომ მისი გარდაცვალება ყვითელი ფოთლების დროს დაემთხვა და მე გთხოვთ, რომ წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ გია ყანჩელს“, – განაცხადა პლენარულ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ არჩილ თალაკვაძემ.

თეთრი რასისტები

უკრაინაში მებრძოლი უცხოელების ახალი ტალღა

უცხოელი მებრძოლების ახალი კლასი ყალიბდება. ეს მებრძოლები ომის ზონებში ათასობით მიდიან. ზოგი თავგადასავლის საძიებლად, ზოგი კი იმედოვნებს, რომ ეს საკუთარი მიზნების მიღწევაში დაეხმარება. საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი ისეთ სახეს იღებს, რომ დასავლეთის დაზვერვის სამსახურების ხელმძღვანელების მზარდ ყურადღებას იპყრობს.

ეს მებრძოლები არ არიან ჯიჰადისტები, რომლებიც ტერორისტული დაჯგუფება, ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ ვირტუალური ხალიფატის რომელიმე პროვინციაში მოხვედრას ცდილობენ. ისინი არც „ისლამური სახელმწიფოს“ მეტოქე „ალ-ყაიდას“ მომხრეები არიან.

ესენი მემარჯვენე ექსტრემისტები და თეთრი რასის უპირატესობის მომხრეები არიან და უკრაინაში ისეთი რაოდენობით მიდიან, რომელიც სირიის კონფლიქტის ადრეულ ეტაპზე მებრძოლების გადაადგილებას მოგაგონებთ.

ნიუ იორკში დაფუძნებული არაკომერციული კვლევითი ჯგუფის „სოუფან ცენტრის“ ანგარიშის თანახმად, წინა წლებში, 50 ქვეყნიდან, მათ შორის შეერთებული შტატებიდან, 17 ათასზე მეტი ადამიანი გაემგზავრა უკრაინაში საბრძოლველად. ისინი იბრძოდნენ როგორც უკრაინული, ასევე პრორუსული ძალების მხარეს.

მათი უდიდესი უმრავლესობა, დაახლოებით 15 ათასი, რუსეთიდან ჩავიდა. მებრძოლები რეგიონის სხვა ქვეყნებიდანაც ჩადიან. 800 მებრძოლი ბელორუსიდანაა და კიდევ ასობით მებრძოლი გერმანიიდან, საქართველოდან, სერბეთიდან და ევროპის ათობით სხვა ქვეყნიდან. „სოუფან ცენტრი“ ამბობს, რომ იქ თეთრკანიანი ექსტრემისტების მნიშვნელოვანი რაოდენობა შეგროვდა.

შედარებისთვის, ლონდონში დაფუძნებულმა რადიკალიზაციის შემსწავლელმა საერთაშორისო ცენტრმა დაასკვნა, რომ 2015 წლის დასაწყისში, 21 ათასი მებრძოლი 50 ქვეყნიდან, მათგან ნახევარზე მეტი ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან, სირიის სამოქალაქო ომში საბრძოლველად გაემგზავრა. ეს ავღანეთში 80-იან წლებში შეკრებილ 20 ათას უცხოელს აჭარბებდა.

„სოუფანის ცენტრი“ აფრთხილებს, რომ ის, რაც სირიამ ჯიჰადისტებისთვის გააკეთა, უკრაინა იმავეს თეთრი რასის უპირატესობის მომხრეებისთვის აკეთებს. თეთრი რასისტები გლობალურ ქსელებს ქმნიან, სწორედ ისე, როგორც ჯიჰადისტებმა 11 სექტემბრის თავდასხმამდე შექმნეს.

თეთრი რასისტები ტრანსნაციონალური გამოწვევაა, მისი ქსელები ავსტრალიიდან, უკრაინასა და ნორვეგიიდან ახალ ზელანდიას სწვდება. ცენტრის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ომის ზონები მათ გაძლიერებას ხელს უწყობს. ქაოსი და არეულობა მათთვის ნოყიერი ნიადაგია, ასეთი სივრცეები კი ისეთ ადგილებში, როგორიც შეერთებული შტატებია, არ არსებობს.

ამ მებრძოლებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი დანიშნულების ადგილი აზოვის ბატალიონია, პროუკრაინული ძალა. ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ისინი ნეო-ნაცისტურ შეხედულებებს მხარს უჭერენ და მებრძოლების მისაზიდად მთელ მსოფლიოში მემარჯვენე და თეთრი რასისტების ჯგუფებთან მუშაობენ.

მებრძოლების მისაზიდად ნოყიერი ნიადაგი პრორუსულმა ჯგუფებმაც იპოვეს. სერბები სერბეთიდან და ბოსნიის სერბული რესპუბლიკიდან, მეტწილად აღმოსავლეთ უკრაინაში მებრძოლ, პრორუსულ სეპარატისტულ რაზმებს შეუერთდნენ.

ანალიტიკოსი ადრიან შტუნი ამბობს, რომ ოფიციალური შეფასებით, 2014 წლიდან უკრაინაში 300-მდე სერბი იბრძოდა და დაახლოებით 30 პიროვნება სერბეთის სასამართლოებში უკვე გაასამართლეს.

რუსეთის მთავრობის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია დასავლეთში თეთრი რასიზმის აღმავლობას მხარს უჭერდა. რუსეთი ყველაფერს მიმართავს, რათა დასავლურ საზოგადოებაში დაყოფა გამოიწვიოს და მისთვის სულერთია, იქნება ეს თეთრი რასისტები თუ სხვა რომელიმე ჯგუფი. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რაც დაპირისპირებაზე მუშაობს.

დასავლელი ოფიციალური პირები შეშფოთებულნი არიან იმით, რომ ეს საკმაოდ კარგად მუშაობდა ბოლო წლებში. სადაზვერვო სამსახურები ხედავენ, რომ კრემლი უფრო მეტად ეყრდნობა იმ ურთიერთობებს, რომელიც მან უკიდურესად მემარჯვენე ან ნაციონალისტურ პოლიტიკურ პარტიებთან განავითარა, რომლებიც უმნიშვნელო ჯგუფებიდან წამყვან პოლიტიკურ მოთამაშეებად გაიზარდნენ.

აღმოსავლეთ უკრაინაში ბრძოლების მონაწილე იტალიელების საქმის გამოძიების კვალდაკვალ, ივლისში, იტალიაში, ხელისუფლებამ ნაცისტურ სიმბოლიკასთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღი, ვაზნები, ხიშტები და ჰაერიჰაერი კლასის რაკეტები ამოიღო.

ევროპელი ოფიციალური პირები ამბობენ, რომ ექსტრემიზმი ერთი ან ორი ქვეყნის საზღვრებში არ ჩერდება და ექსტრემისტული პროპაგანდა ინტერნეტში ბევრად უფრო ფართო და მძიმეა.

პრობლემამ შეერთებული შტატების ხელისუფლების ყურადღებაც მიიპყრო. 23 სექტემბერს შეერთებულმა შტატებმა კანზასის შტატში, ფორტ რილის ბაზაზე მომსახურე ჯარისკაცს, ასაფეთქებელი მასალების და მასობრივი განადგურების იარაღის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში დასდო ბრალი. მანაც „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა, რომ უკრაინაში გამგზავრება და აზოვის ბატალიონში ჩარიცხვა სურდა.

ამერიკელმა ოფიციალურმა პირებმა და მკვლევარებმა აღმოაჩინეს კავშირი ნეო-ნაცისტურ რუსულ იმპერიულ მოძრაობასა და კალიფორნიაში დაფუძნებულ, თეთრი რასის უპირატესობის მომხრე ჯგუფ „რეიზ ებავ მუვმენთ“-ს შორის, რომლის ლიდერიც, 2017 წელს, ვირჯინიის შტატის ქალაქ შარლოტსვილში მომხდარი სისხლიანი არეულობის წაქეზების გამო დააპატიმრეს.

ზოგიერთი ევროპული ქვეყანა, როგორიცაა ჰოლანდია, იმედს გამოთქვამს, რომ იგივე კანონები, რომლებსაც სირიაში მიმავალი ჯიჰადისტების აღმოსაჩენად და დასაკავებლად იყენებდნენ, თეთრი რასისტების წინააღმდეგაც გამოადგება.

შეერთებული შტატების ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ ამჟამად, თუ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ ეჭვი გაჩნდეს კანონის დარღვევაზე, მათ ბევრი არაფრის გაკეთება არ ძალუძთ.

შეერთებული შტატების კონტრტერორისტული უწყების მაღალი თანამდებობის პირმა „ამერიკის ხმას“ უთხრა, რომ სირიის კონფლიქტს გულდასმით აკვირდებოდნენ, რადგან უცხოელი მებრძოლები, ტერორისტულ ჯგუფებად გამოცხადებულ „ისლამურ სახელმწიფოს“ და „ალ-ყაიდას“ უერთდებოდნენ.

შეერთებულ შტატებში არსებულ ჯგუფებს კი, როგორიცაა „ატომვაფენ დივიზია“ და „რეიზ ებავ მუვმენთ“, რომლებიც ევროპულ ჯგუფებთან დაკავშირებას ცდილობდნენ, ასეთი კლასიფიკაცია მინიჭებული არ აქვთ.

აშშ უკრაინას ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსს მიჰყიდის

აშშ-ის კონგრესმა უკრაინისთვის ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსის Javelin-ის დამატებითი პარტიის მიყიდვას მხარი დაუჭირა, რომლის ღირებულა 39 მილიონი დოლარია.

გამოცემის ცნობით, უკრაინამ ეს იარაღი მიმდინარე წლის ზაფხულში ითხოვა. ეს კონტრაქტი უკრაინისთვის სამხედრო დახმარებისგან დამოუკიდებელია, რომელიც კონგრესმა მანამდე დაამტკიცა. 2018 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკრაინას Ոფმუდშტ-ის ტიპის 200 ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა და 37 გამშვები დანადგარი მიჰყიდა.

რუსეთს ევროსაბჭოს წინაშე პასუხისმგებლობები შეახსენეს

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგატების წინაშე სიტყვით გამოსვლისას ემანუელ მაკრონმა გაცხადა, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის დაბრუნებას მიესალმება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა, რუსეთის მოქალაქეებს ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა დაეკარგათ.

ამასთან, როგორც საფრანგეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, სანაცვლოდ რუსეთმა მის მიერ აღებული პასუხისმგებლობები უნდა შეასრულოს. მაკრონის თქმით, უახლოეს კვირებში შესაძლოა „ნორმანდიული ოთხეულის“ შეხვედრა გაიმართოს, სადაც დონბასის კონფლიქტის მოგვარების ახალ ეტაპებზე იმსჯელებენ.

„ჩვენ არ ვართ გულუბრყვილოები, არ ვართ კმაყოფილები და ვიცით, რომ რუსეთმა უკრაინაში თავისი ქმედებებით წითელი ხაზი გადაკვეთა“, — განაცხადა მაკრონმა.

ევროსაბჭოში რუსეთს ხმის უფლება 2014 წლიდან, ყირიმის ანექსიის გამო ჰქონდა ჩამორთმეული. ამის გამო, რუსეთი წლების განმავლობაში ევროსაბჭოში საწევრო გადასახადსაც კი არ იხდიდა.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ კი მიმდინარე წლის 26 ივნისს რუსეთის დელეგაციის უფლებამოსილება აღიარა.

უკრაინაში სპეცოპერაციის დროს საქართველოს მოქალაქე მოკლეს

როგორც უკრაინული მედია წერს, **საქართველოს მოქალაქემ 10 დღის წინათ ორ უკრაინელ სპეცრაზმელს ესროლა და დაჭრა.** იგი დღეს, კიევის ოლქში მდებარე ხოტიანოვკას დასახლებაში სამართალდამცველებმა მოკლეს. პოლიციის ცნობით, ისინი იმ სახლთან მივიდნენ, სადაც საქართველოს მოქალაქე იმალებოდა და დანებება მოსთხოვეს. საპასუხოდ კი მან ცეცხლი გახსნა.

„საპასუხო ცეცხლის დროს მისი ლიკვიდირება მოხდა“, — აცხადებენ პოლიციაში. აღნიშნულ საქმეზე გამოძიების სახელმწიფო ბიურომ გამოძიება დაიწყო. გამომძიებლები სამართალდამცავების მხრიდან იარაღის გამოყენების კანონიერებას შეისწავლიან. როგორც უკრაინის ეროვნულ პოლიციაში აცხადებენ, მოკლულის ვინაობა მათთვის ცნობილია და მას სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისთვის 22 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. მას ბრალად კრიმინალური ბანდის შექმნაში, ადამიანების გატაცებასა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ფლობაში ადანაშაულებენ.

ᲡᲘᲪᲮᲜᲔᲕᲔ ᲡᲘᲑᲔᲠᲔᲛᲓᲔ

ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲘᲡ გერიატრიისა და გერონტოლოგიის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, ამჟამად იქ 100 წელს გადაცილებული 30 ათასი კაცი(!) ცხოვრობს!

— ბოლო 50-60 წლის მანძილზე ჯანდაცვის სისტემა ჩვენს ქვეყანაში ძირფესვიანად შეიცვალა, — ამბობს ცენტრის დირექტორი **ჰიდეტოში ენდო**. — სწორედ ამის წყალობაა, რომ ჩვენში ყველაზე მეტი ასაკოვანი ადამიანი ცხოვრობს, **ხელისუფლების უპირველეს ამოცანას მოქალაქეთა კეთილდღეობა წარმოადგენს**.

ამასთანავე, მე-20 საუკუნის შუახანებიდან შეიცვალა იაპონელთა კვების რაციონი: 1970-იან წლებამდე ქვეყანაში ძალიან დიდი იყო ინსულტების ოდენობა, რომელთა ერთ-ერთი მიზეზი **მარილის ჭარბი მოხმარება** იყო. კერძოდ, ქვეყნის ჩრდილოეთის პროვინციებში მისი დღეღამური მოხმარება 40 გრამს უტოლდებოდა, ხოლო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტები კი ამ ოდენობის ზედა ზღვარს 5 გრამით განსაზღვრავენ. ამიტომ, დაიწყო ფართომასშტაბიანი ეროვნული კომპანია მარილის მოხმარების შესამცირებლად, რის შედეგად 20-30 წლის მანძილზე ინსულტების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა.

კიდევ ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიაში გაცილებით მეტი ხორცის, ცილის მოხმარება დაიწყეს, რამაც ასევე შეუწყო ხელი სიცოცხლის გახანგრძლივებას — **65 წლის შემდეგ მათზე ორგანიზმის მოთხოვნილება 1,5-2-ჯერ იზრდება**. ამიტომაც, ტრადიციული იაპონური დიეტა, რომელიც ხმელთაშუაზღვისპირულის შემდეგ მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლებოდა, უკვე აღარ ვარგა. სწორედ ამის გამოა, რომ ხანდაზმულთათვის საჭიროა კვირაში თეთრი ხორცის არანაკლებ ორ-სამჯერ ჭამა. გარდა ამისა, სასურველია მაწვნისა და მსგავსი საკვების მირთმევა, რათა კალციუმის შემცველობის დონე შენარჩუნდეს: ასაკის მატებასთან ერთად ძვლები მსხვრევადი ხდება, რასაც მოტეხილობები მოჰყვება, რის გამოც ადამიანები ხშირად მწოლიარე ინვალიდებად რჩებიან. ამჟამად იაპონიაში ხანდაზმულთათვის საგანგებო დიეტა მუშავდება, რომელიც დიდი ოდენობით ცილასა და კალციუმს შეიცავს.

დაბოლოს იმის თქმაცაა აუცილებელი, რომ სიცოცხლის გასახანგრძლივებლად **დიდი მნიშვნელობა აქვს მუშაობასა და თვითგანვითარებას, ასევე მოგზაურობას, ახალი ენების შესწავლას, ფეხით სიარულსა და დილაობით გამამხნევებელი ვარჯიშების გაკეთებას, თამბაქოს მოწევისა და ტკბილეულის მოხმარების შეზღუდვას**.

ᲣᲕᲐᲠᲒᲘᲡᲘ ᲡᲐᲣᲖᲛᲔᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲡ შედეგად კვების სპეციალისტებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ გარკვეული სახეობის საკვების საუზმეზე მირთმევა რეკომენდებული არ არის.

ფორთოხლის წვენი. მჟავა, რომელიც ციტრუსებში უხვადაა, ძალიან ცუდად მოქმედებს ცარიელ კუჭზე, რადგან სწრაფად შლის მის ლორწოვან გარსს. ამიტომაც, ფორთოხალი ან მისი წვენი უნდა მიირთვათ დანაყრებულზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მაღალია გასტრიტის განვითარების საფრთხე.

ცივი სასმელები. დამტკიცებულია, რომ გაღვიძებისთანავე ორგანიზმში მოხვედრილი ცივი სითხე სისხლის მიმოქცევას ასუსტებს. ასევე საფრთხილოა უზმოზე ცხელი ყავა, რადგან მას შარდმდენი მოქმედება აქვს.

მზა საუზმე: მუსლის ან ბურბუშელების მირთმევისას უნდა გახსოვდეთ, რომ ამ დროს სწრაფად კი ნაყრდებით, თუმცა მალევე გშივდებათ. ამიტომ, უმჯობესია დილაობით მთლიანი მარცვლის ორცხობილები ჭამოთ.

ტკბილი ნამცხვრები. მკაცრ დიეტაზე მყოფნი ზოგჯერ ტკბილეულს მიირთმევენ. არადა, რაციონალურ კვებას მიჩვეული ორგანიზმი გაღვიძებისთანავე ასეთ „დამრტყმელ“ საკვებს ვერ უმკლავდება. ამიტომ კუჭქვეშა ჯირკვალი მაშინვე განგაშს ტეხს. ამის გამო ტკბილეულის მიღება საჭიროა ჩაროზად, ძირითადი საკვების მიღების შემდეგ.

ძეხვიანი ბუტერბროდები. ასეთი საუზმე კუჭისთვის ნელი მოქმედების ბომბივითაა. თეთრ პურთან შეხამებული ძეხვის კონსერვანტები და საღებავები უარყოფითად მოქმედებენ კუჭ-ნაწლავზე. გარდა ამისა, ასეთი საუზმით დანაყრება ზედმეტად სწრაფად ხდება.

ბანანები. თქმა არ უნდა, რომ ბანანის მიღება გაღვიძებისთანავე დიდად მოსახერხებელია, მაგრამ მისი, როგორც საუზმის ფასეულობა, ამით მთავრდება. მაგნიუმი, რომელსაც ბანანი დიდი ოდენობით შეიცავს, გულს დიდ დატვირთვას აძლევს, რისთვისაც გაღვიძებისთანავე ის მზად არ არის.

ᲘᲪᲘᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲠᲝᲛ...

● **პინგვინი** ფრინველთა იმ ორმოცი სახეობიდან ერთადერთია, რომლებსაც ფრენა არ შეუძლიათ, თუმცა ცურვას, ყვინთვასა და ვერტიკალურად დგომას კარგად ახერხებს?

● დედამიწის მოსახლეობის 3,4 პროცენტი მიგრანტია, მათგან ყველაზე მეტი აშშ-ში ცხოვრობს (49,7 მილიონი კაცი), შემდეგ კი მოდიან საუდის არაბეთი, გერმანია (12,1-12,1 მილიონი) და რუსეთი (11,6 მილიონი)?

● ყველაზე ცოტა ხანი — სულ 7 საათი და 16 წუთი სძინავთ იაპონიაში, ხოლო ყველაზე მეტი — 10 საათი და 15 წუთი — არგენტინაში?

● ახალი წლისთვის, ანუ 31 დეკემბერს, დედამიწაზე საათობრივ სარტყელთა სიმრავლის გამო, სანტა კლაუსის სამუშაო დღე 31 საათს გრძელდება, რა დროსაც იგი (გაეროს მონაცემებით) 92 მილიონ სახლს უნდა ესტუმროს, რაც წამში 822 საცხოვრისის მონახულებას ნიშნავს, რისთვისაც მისი ეტლი წამში 1625 მეტრის სიჩქარით უნდა გადაადგილდებოდეს?

● გაეროს მოსახლეობის ფონდის ცნობით, 2018 წლის იანვარში დედამიწის მოსახლეობა 7,6 მილიარდ კაცს შეადგენდა?

● წლის ყველაზე სახიფათო დროდ სოციოლოგებმა საახალწლო დღესასწაულები აღიარეს, რისი მიზეზიც საკვებისა და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, სიცივე და მოზღვავებული ემოციებია?

● დედამიწაზე მთლიანად 64 მთათა წარმონაქმნია, მათგან ყველაზე მეტია. რუსეთსა (14) და ჩინეთში (8)?



● ადამიანისა და თაგვის გენომები ერთმანეთისგან მხოლოდ ერთი პროცენტით განსხვავდება, ხოლო რასების გენომებს შორის სხვაობა სულ 0,2 პროცენტია?

● სირიაში საომარ მოქმედებათა დროს რუსეთის ჯარებმა ახალი შეიარაღების 250 სახეობა გამოსცადეს?

● წლის დასაწყისში რუსეთის ცენტრალურმა საინფორმაციო სააგენტო „სპუტნიკმა“ გამოკითხვა ჩაატარა — „ვინ მიგაჩნიათ მე-20 საუკუნის კერპებად რუსეთში?“, სადაც ადგილები ასე განაწილდა: იური გაგარინი — 44%; ვლადიმერ ვისოცკი — 28%; გიორგი ჟუკოვი — 27%; იოსებ სტალინი — 22%; ალექსანდრე სოლჟენიცინი — 14%; ლევ ტოლსტოი, მაია პლისეცკაია — 13-13%; ვლადიმერ ლენინი — 12%; ანდრეი სახაროვი, ირინა როდნინა — 11-11%?

● აბსოლუტური მუსიკალური სმენა ათი ათასი კაციდან მხოლოდ ერთს აქვს?

● ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ქონება დღესდღეობით 3 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, ხოლო თავისი კარიერა უძრავი ქონებით წარმატებული მოვაჭრის შვილმა მამის ფირმაში დაიწყო, საკუთარი საქმე კი 28 წლის ასაკში წამოიწყო?

● მექსიკაში სიმინდის ჯიში არის, რომელსაც ცისფერი ტარო აქვს?

● ჭამის დროს ტელევიზორის ცქერა საკვების მოხმარებას 20 პროცენტით ზრდის?

ᲢᲘᲠᲘᲚᲘ „ᲬᲧᲕᲘᲚᲐᲓ“ ᲡᲯᲝᲑᲡ

ᲡᲘᲪᲘᲚᲡᲐ და ძილზე უკეთ სტრესს ცრემლები ხსნიან, — აცხადებს იაპონელი მეცნიერი ჰიდეფუმი იოშიდა.

საქმე ისაა, რომ როცა ვტირით, ორგანიზმში პარასიმპათიკური ნერვის აქტივობა მატულობს, რომელიც ანელებს გულისცემას, რაც მომადუნებელ ეფექტს იწვევს. ამიტომ, მეცნიერი დარწმუნებულია, რომ თუკი კვირაში ერთხელ ვიტირებთ, შესაძლებელი იქნება სტრესების გარეშე ცხოვრება.

უნდა ითქვას, რომ ამერიკელმა მკვლევარებმა მინესოტის უნივერსიტეტიდან ჯერ კიდევ 1981 წელს დაამტკიცეს, რომ ტირილს შეუძლია ენდორფინის ჰორმონების გამოთავისუფლება, რომლებიც ბედნიერების შეგრძნებას გვანიჭებენ. ამდენად, იმის მაგივრად, რომ სვათ ვალერიანის წვეთები ან ტრანკვილიზატორები, ჩართეთ სევდიანი მუსიკა ან სენტიმენტური კინო, ანდა რომელიმე დრამატული ნაწარმოების კითხვა დაიწყეთ და გემოზე იტირეთ. დამტკიცებულია, თავს უკეთ იგრძნობთ, თანაც შვება უფრო მეტად მოგეცემათ, თუკი ამ საქმეში ვინმეს „შეიამხანაგებთ“.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔᲛ

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

დღეს ფიჯისთან – დასვენებული შემადგენლობით

„ბორჯღალოსანთა“ სამწვრთნელო შტაბმა მსოფლიო თასზე ფიჯისთან დღეს გასამართავი მატჩისთვის 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.

იაპონიაში ჩვენმა გუნდმა უკვე ჩაატარა ორი შეხვედრა – უელსთან 23 სექტემბერს (14:43) და 29-ში ურუგვაისთან (33:7). მეორე თამაშში „ბორჯღალოსნებმა“ ბონუსიც აიღეს და ამჟამად 5 ქულით „დ“ ჯგუფში მესამე ადგილზე არიან. ფიჯისთან მოგების შემთხვევაში საქართველო იბევებს 2023 წლის მსოფლიო თასის საგზურს და ორი დღით ჯგუფში მეორე ადგილზე გადადის, ოღონდ მეტოქეებზე ერთი თამაშით მეტი ექნება ჩატარებული.

ურუგვაის დამარცხებიდან მეორე დღეს საქართველოს ნაკრები ოსაკაში ჩავიდა, სადაც რაგბის უმაღლეს ფორუმზე მესამე ბრძოლას გამართავს. მწვრთნელებმა მოგვიანებით საბრძოლო რაზმიც დაასახელეს.

ფიჯისთან „ბორჯღალოსნებს“ ჩვეულ, 12 ნომრის პოზიციაზე უბრუნდება მერაბ შარიქაძე. აგვისტოს მიწურულს „საუზერნ კინგზთან“ მოსამზადებელ მატჩში მიღებული ტრავმის შემდეგ ის მოედანს ურუგვაისთან დაუბრუნდა, ოღონდ თამაშში მარქაფიდან რამდენიმე წუთით ჩაერთო. ახლა ის გუნდს კვლავ კაპიტნის სამკლაურით გაუძღვება და მოედნის ცენტრში დავით კაჭარავას შეუწყვილდება, რომელსაც ურუგვაისთან არ უთამაშია და მომავალ შეხვედრას დასვენებული ხვდება.

ცენტრალური წყვილის გარდა, წინა მატჩებთან შედარებით ხაზში კიდევ რამდენიმე ცვლილებაა. სასტარტო შემადგენლობაში ბრუნდება 9 ნომერი ვასილ ლობჟანიძე, ხოლო მგეზავად, პირველად ამ მსოფლიო თასზე, თამაშს ლაშა ხმალაძე იწყებს. მან უელსთან შეცვლაზე, ხოლო ურუგვაისთან სასტარტოში ფულბეკად ითამაშა. ამჟამად 15 ნომრის პოზიციას სოსო მათიაშვილი დაიკავებს, რომელიც ძირითადში ბრუნდება.

ზედიზედ მესამე თამაშს იწყებს გიორგი კვესელაძე და ის ფრთაზე ბრუნდება. მეორე ფრთაზე გამოცდილ ალექსანდრე თოდუას ვიხილავთ. აღსანიშნავია, რომ ფრთის ორივე მოთამაშემ ურუგვაის ლეღო გაუტანა.

მარქაფაში 9 ნომრის პოზიციაზეა გელა აფრასიძე. ხაზის მოთამაშეთაგან შეცვლაზე შევლენ ლაშა მალაღურაძე და მირიან მოდებაძე.

შერკინების ხაზში, როტაციის პრინციპით, ურუგვაისთან მატჩის შემდეგ 7 მორაგბე შეიცვალა და საქართველო იმ ფორვარდებით იწყებს ბრძოლას, რომლითაც ექვსი ერის გამარჯვებულ უელსს ეთამაშა.

პირველ ხაზში ბრუნდებიან მიხეილ ნარიაშვილი, შალვა მამუკაშვილი და ბექა გიგაშვილი. მეორე ხაზში ზედიზედ მესამე თამაშია ძირითადში



ადგილს ინარჩუნებს კოტე მიქაუტაძე, რომელსაც ამჯერად კვლავ გიორგი ნემსაძე შეუწყვილდება. მესამე ხაზში ფლანკერებად ბრუნდებიან გიორგი თხილაიშვილი და მამუკა გორგოძე, ხოლო შემკვრელი ბექა გორგაძე იქნება.

პირველი ხაზის მარქაფაში არიან ჯაბა ბრეგვაძე, გურამ გოგიჩაშვილი და ლევან ჩილაჩავა. ამ სამეულმა უელსთან შეცვლაზე ითამაშა, ოთხი დღის წინათ კი ძირითადში იყო. მათ გარდა, მორკინალთაგან მარქაფაში არიან ოთარ გიორგაძე და ბექა საღინაძე.

საქართველოსა და ფიჯის ნაკრებთა შეხვედრა დღეს თბილისის დროით 09.15 საათზე დაიწყება და მის პირდაპირ ტელერეპორტაჟს პირველი არხი გვთავაზობს.

კობა კოგანიძე

◎ ადგილის დედა

რაჭულ ხალიჩაზე



გამოჩენილ ქართველ სპორტსმენს და მამაულიშვილს, ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანსა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს გურამ საღარაძეს ამ დღეებში კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი მის მშობლიურ ამბროლაურში, სადაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ააიპ ჭიდაობის კლუბ „ფალავანის“ ძალისხმევით სამაგალითოდ უმასპინძლეს მორიგ საერთაშორისო ტურნირს 2005-2006 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის.

ჩემპიონთა გალერეა

38 კგ – ნიკოლოზ ბოჭორიშვილი (გორი, ნუგზარ სხირელის კლუბი).
41 კგ – ტიგრან ბუნათიანი (სომხეთი).
44 კგ – ლუკა მარგველიძე (ამბროლაური).
48 კგ – საბა კობახიძე (ამბროლაური).
52 კგ – დავით ქობულაშვილი (თბილისი).
57 კგ – ლუკა ვანიშვილი (გორი).
62 კგ – ოთარ დოხნაძე (ამბროლაური).
68 კგ – ნიკოლოზ მაისურაძე (სხირელის კლუბი).
75 კგ – ნიკოლოზ ფანცულაია (ქუთაისი).
85 კგ – საბა წოწკოლაური (თბილისი).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

ახალი თამასა - 102 მატჩი

ჯგუფური რაუნდის მეორე ტურის შემდეგ ჩემპიონთა ლიგას 102 გამარჯვებით ახალი რეკორდსმენი ჰყავს ტურინის „იუვენტუსის“ 34 წლის ბომბარდირ კრიშტიანუ რონალდუს სახით, რომელმაც შინ ლევერკუზენის „ბაიერნთან“ 3:0 მოგებულ შეხვედრაში ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირებში 127-ე(!) ბურთი გაიტანა. ძველი მიღწევა – 101 წარმატება პორტუგალიელის ყოფილ თანაგუნდელს მადრიდის „რეალში“ იკერ კასილიასს ეკუთვნოდა – 101 მოგება.

რაც შეეხება თვით „სამეფო კლუბს“, ზინედინ ზიდანის დაბრუნების შემდეგ მან კიდევ ერთხელ გააწბილა მრავალრიცხოვანი ქომაგები და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ძვირფასი ქულები დაკარგა „ბრიუგესთან“ – 2:2. მეტიც – მასპინძლები კმაყოფილნი უნდა იყვნენ, რომ კოშმარული პირველი ტაიმის შემდეგ მეტოქეს რამოსისა და კაზემიროს ძალისხმევით დაუძვრნენ.

დღის გმირად „ბაიერნი“ და მისი ახალი ვარსკვლავი სერჟ გნაბრი მოგვევლინნენ, რომელმაც „ტოტენჰემთან“ ლონდონში პოკერი შეასრულა და ლიგის წლევანდელი ფინალისტის განადგურებაში ლომის წილი დაიდო – 7:2(!).

დანარჩენი შედეგები: „გალათასარაი“ – „პარი სენ-ჟერმენი“ 0:1, „ცრვენა ზვეზდა“ – „ოლიმპიაკოსი“ 3:1, „ატალანტა“ – „შახტარი“ 1:2, „სიტი“ – ზაგრების „დინამო“ 2:0, „ლოკომოტივი“ – „ატლეტიკო“ 0:2.

სატურნირო მდგომარეობა:

„ა“ ჯგუფი. „პარი სენ-ჟერმენი“ – 6, „ბრიუგე“ – 2, „გალათასარაი“, „რეალი“ – თითო ქულა.

„ბ“ ჯგუფი. „ბაიერნი“ – 6, „ცრვენა ზვეზდა“ – 3, „ოლიმპიაკოსი“, „ტოტენჰემი“ – თითო ქულა.

„გ“ ჯგუფი. „სიტი“ – 6, „დინამო“ (ზაგრები), „შახტარი“ – 3-3, „ატალანტა“ – 0 ქულა.

„დ“ ჯგუფი. „იუვენტუსი“, „ატლეტიკო“ – 4-4, „ლოკომოტივი“ – 3, „ლევერკუზენი“ – 0 ქულა.

22 ოქტომბერს ითამაშებენ: „გალათასარაი“ – „რეალი“, „ბრიუგე“ – „პარი სენ-ჟერმენი“, „ოლიმ-

პიაკოსი“ – „ბაიერნი“, „ტოტენჰემი“ – „ცრვენა ზვეზდა“, „შახტარი“ – „დინამო“ (ზაგრები), „სიტი“ – „ატალანტა“, „ატლეტიკო“ – „ლევერკუზენი“, „იუვენტუსი“ – „ლოკომოტივი“.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭადრაკი

საერთაშორისო ოსტატის ხსოვნას მიეძღვნა

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო ოსტატ ველიმირ კალანდაძის (1935-2017 წ.წ.) ხსოვნას თემატური კონკურსი მიუძღვნა. მასში მხოლოდ ეტლების ეტიუდების შემდგენელი კომპოზიტორები მონაწილეობდნენ. ეს შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან ველიმირ კალანდაძის შემოქმედებაში ეტლების ეტიუდებს განსაკუთრებული ადგილი უკავია - მას ეტლების ეტიუდების მეფესაც კი უწოდებდნენ.

კონკურსის ჟიურიმ 13 ქვეყნის საჭადრაკო კომპოზიტორის 43 ეტიუდი მიიღო განსახილველად. მემორიალის მთავარმა მსაჯმა, საჭადრაკო კომპოზიციაში საერთაშორისო არბიტრმა დავით გურგენიძემ პირველი პრიზი **ამოს ჟილბოას** და **იოხანან აფეკის** (ისრაელი) კოლექტიურ ეტიუდს მიაკუთვნა.

1.F5! ეB5 2.ეA7! მფG8! 3.ეD7!! (ეტიუდის ცენტრალური სვლა. თემატური მცდარი კვალია 3. ეC7? ეF5 4. მფB7 ეG5 5. მფC6 ეG7 და შავები იგებენ; ასევე სუსტი სვლაა 3. ეE7? ეF5 4. მფB7 ეE5 5. ეC7 ეE6 და შავების პაიკის წინსვლა გარანტირებულია). 3... ეF5 4. მფB7 ეG5 5. მფC6 ეG7 6. ეD4!! მფF7 7. მფD5 ეG5 8. მფE4! (აგებს 8. მფC4? ეG3 9. ეD1 მფg6-ის შემდეგ) 8. ... ეG4 9. მფF5 ეD4 და პატი დაფის ცენტრში



ყაიმი

მეორე პრიზი ლუის გონსალესს (ესპანეთი) ერგო, ხოლო მესამე-მეხუთე პრიზები ოლეგ პერვაკოვის (რუსეთი), შტეფან ნილსენისა (დანია) და უკრაინელების – ანდრეი სერგიენკოსა და ვლადიმირ სამილოს კოლექტიურმა ეტიუდმა დაიმსახურეს. კიდევ 14 ეტიუდი საპატიო და საქები შეფასებებით აღინიშნა.

თეთრების პაიკი განწირულია, რადგან მეფეს არ შეუძლია მისი დაცვა.

◎ ინტერნეტიდან

ხსვართი სამპაიო

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ლამაზმანთა მთელი კოჰორტები ცდილობენ მათი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების თილისმის ესოდენ სასურველი წოდება მოიპოვონ და ამ გზით, მამრთა გულის გახარების გარდა, საყოველთაო ცნობადობასაც გამოჰკრან ხელი, რაც მათ საქმეში, დაგვეთანხმებით, უმნიშვნელოვანესია.

პორტუგალია ამ მხრივ ერთ-ერთი გამორჩეული სახელმწიფოა, სადაც შავტუხა ასულები გუნდის ავგაროზის ტიტულისთვის აღარ იბრძვიან, რადგან ყველა შეეგუა იმ ჭეშმარიტებას, რომ იგი ხელთ უპყრია და, ღირსეულადაც, ყველაზე ცნობილ იქაურ მოდელ სარა სამპაიოს.

იგი მსოფლიოს ტოპ-მოდელთა ათეულშია და მისი მხრიდან პორტუგალიის ეროვნული ნაკრების ქომაგობა უკვე ბევრს ნიშნავს. ეს გოგონა ფეხბურთზე, მართალია, იშვიათად საუბრობს ხოლმე, მაგრამ როდესაც მის თანამემამულეებს მხარდაჭერა და გვერდში დგომა სჭირდებათ, არც სტადიონზე მისვლას იზარებს და, ზოგადად, პორტუგალიაში იციან, რომ ყველაფერში მეტად დაუზარელი და ცქვიტი გოგონაა.

ბეჭან დოლიძე

ელიტური კრიმინალი

სარკოზის თაღლითობისთვის გაასამართლებენ

ნიკოლა სარკოზი სასამართლოს წინაშე თაღლითობის ბრალდებით წარდგება. ამის შესახებ Deutsche Welle წერს.

გამოცემის ინფორმაციით, 64 წლის პოლიტიკოსს 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დაფინანსებისას თაღლითობაში ადანაშაულებენ. სარკოზიმ წინასაარჩევნო კამპანიაში ყალბი ინვოისების გამოყენებით 43 მილიონი ევრო დახარჯა, რაც კანონით დაწესებულ ლიმიტს ორჯერ აღემატება.

ბრალის დამტკიცების შემთხვევაში სარკოზის ერთწლიანი პატიმრობა ემუქრება. ამასთან, მას 3 750 ევროს ოდენობის ჯარიმის გადახდა მოუწევს.

სარკოზი ბრალდებას უარყოფს და ამტკიცებს, რომ თაღლითობის შესახებ არაფერი იცოდა. სასამართლო პროცესის თარიღი ჯერჯერობით უცნობია. ნიკოლა სარკოზი საფრანგეთის პრეზიდენტის თანამდებობას 2007 წლიდან 2012 წლამდე იკავებდა. 2018 წელს სარკოზი პასიურ კორუფციასა და 2007 წლის საარჩევნო კამპანიის არალეგალურ დაფინანსებაში ოფიციალურად დაადანაშაულეს და სახლში გაუშვეს.

პრეზიდენტის ძმას 5-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

ირანის პრეზიდენტის ჰასან როუჰანის ძმას ჰუსეინ ფერეიდუნს კორუფციის ბრალდებით 5-წლიანი პატიმრობა მიესაჯა. ამის შესახებ სასამართლოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა. ინფორმაციას ირანული სააგენტო Fars-ი ავრცელებს.

სააგენტოს ცნობით, პრეზიდენტის ძმასთან დაკავშირებით, ამ საქმის გარდა კიდევ ერთი გამოძიება მიმდინარეობს. ოფიციალურად ბრალი ჰუსეინ ფერეიდუნს 2016 წელს წაუყენეს. ამ სკანდალის მიუხედავად, ირანის პრეზიდენტი ჰასან როუჰანი მეორე ვადით აირჩიეს. არჩევნებიდან ორი თვის შემდეგ ჰუსეინ ფერეიდუნი დააპატიმრეს. 2015 წელს ჰუსეინ ფერეიდუნი ირანის ბირთვულ პროგრამაზე მოლაპარაკებებში ირანის სპეციალურ წარმომადგენლად მუშაობდა.

ტრამპმა მისი იმპიჩმენტის პროცედურას სახელმწიფო გადატრიალება უწოდა

დონალდ ტრამპმა დემოკარატების მიერ კონგრესში მის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება სახელმწიფო გადატრიალებას შეადარა. ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა Twitter-ზე დაწერა.

„დღითი დღე სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები, რომ რაც ხდება, ეს არ არის იმპიჩმენტი, ეს სახელმწიფო გადატრიალებაა“, — წერს თეთრი სახლის ლიდერი.

ტრამპის განმარტებით, გადატრიალების მიზანია, ამერიკელებს ჩამოართვან მათი ხმები და თავისუფლება. აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის ნაწილმა დონალდ ტრამპის წინააღმდეგ იმპიჩმენტის ფორმალური პროცედურა 25 სექტემბერს დაიწყო. ამის მიზეზი ტრამპსა და უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის შორის შემდგარი სატელეფონო საუბარი გახდა, რომელშიც თეთრი სახლის მეთაური კოლეგას აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ვაჟის უკრაინაში საქმიანობის გამოძიებას სთხოვა.

ჩამორთმეული მანქანები

შვეიცარიაში აუქციონზე ეკვატორული გვინეის პრეზიდენტის შვილისთვის ჩამორთმეული ძვირადღირებული ავტომობილების კოლექცია გაყიდეს. თეოდორინ ნგემა ობიანგას 25 ავტომობილი 27 მილიონ დოლარად გაიყიდა.

კოლექცია შედგებოდა შვიდი ფერარის, სამი ლამბორჯინის, ხუთი ბენტლის, მასერატისა და მაკლაერნის ფირმის ავტომობილებისგან.

აუქციონის გამორჩეული ლოტი იყო 2014 წლის ლამბორჯინი ვენონ როუდსტარი. ის 8,4 მილიონ დოლარად გაიყიდა. აღნიშნული ავტომობილის სულ ცხრა ეგზემპლარი არსებობს.

2016 წელს შვეიცარიის პროკურატურამ ეკვატორული გვინეის პრეზიდენტის შვილი და ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ფულის გათეთრებაში დაადანაშაულა. 2019 წლის თებერვალში საქმე ავტომობილების კოლექციის ჩამორთმევის სანაცვლოდ შეწყდა.

შვეიცარიის კანონმდებლობის მიხედვით, ფინანსურ მაქინაციებში წაყენებული ბრალი შეიძლება მოიხსნას, თუ ბრალდებული კომპენსაციას გადაიხდის და ის სოციალურ პროგრამებზე დაიხარჯება.

სანთელი

საქართველოს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური და თბილისის ვეტერანთა საქალაქო და რაიონული კავშირები ღრმა მწუხარებით იუწყებიან შინაგან საქმეთა ორგანოების დამსახურებული ვეტერანის, მთაწმინდის ვეტერანთა რაიონული კავშირის გამგეობის ყოფილი თავმჯდომარის, თადარიგის პოლკოვნიკის

დავით რაფავას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს, ახლობლებს და მეგობრებს.

სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად

1. მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული (პირომეტალურგიის ლაბორატორია)
2. ტექნიკოსი - 1 საშტატო ერთეული (თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორია)

კონკურსის პირობები

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხდების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია /CV
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე - ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. #10, ოთახი #315 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2019 წლის 01ნოემბრიდან 05 ნოემბრის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის (სამუშაოს აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები) ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776.

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი (EWHIP-4)**
განმახორციელებელი უწყება: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**
ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P130413**

კონტრაქტის № **EWHIP-4/CS/CQS-10**
გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია: **AARC Ltd. in sub-consultancy with Project Management Experts (PME)**
კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: **1 ოქტომბერი, 2019**
შერჩევის მეთოდი: **CQS -კვალიფიკაციაზე დაფუძნებული შერჩევა**
კონტრაქტის ღირებულება: **281,058.30 აშშ დოლარი და 52,618.56 ლარი**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: **4 თვე**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **საქართველოს რეგიორნული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საჭიროებების ანალიზი**

CONTRACT AWARD NOTIFICATION

Project Name: **Fourth East West Highway Improvement Project (EWHIP-4)**
Project Implementing Agency**: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**
Country: **Georgia**
Project number: **P130413**
Contract Reference No: **EWHIP-4/CS/CQS-10**
Awarded Firm: **AARC Ltd. in sub-consultancy with Project Management Experts (PME)**
Contract Signature Date: **October 01, 2019**
Method of Selection: **CQS – Consultants' Qualification Selection**
Contract Price: **USD 281,058.30** and **GEL 52,618.56**
Duration of Contract: **Four (4) months**
Scope of Contract: **Capacity gap analysis of the Roads Department Ministry of Regional Development and Infrastructure**

ჯასტინ ბიბერმა და ჰეილი ბოლდუინმა საქორწინო ცერემონიალი გამართეს



25 წლის ჯასტინ ბიბერმა და 22 წლის ჰეილი ბოლდუინმა საქორწილო ცერემონიალი გამართეს. როგორც უცხოური გამოცემები წერენ, მთელი წელია, საზოგადოება ამას ელოდებოდა.

საქორწინო წვეულება სამხრეთ კაროლინაში ჩატარდა და ფოტოგრაფებისთვის დახურული იყო, თუმცა პაპარაცებმა ფოტოების გადაღება მაინც შეძლეს. ასევე სოციალურ ქსელში, მათი მეგობრების მიერ გამოქვეყნებული სურათები გავრცელდა. ერთერთი სტუმარი სუპერმოდელი და ჰეილის მეგობარი კენდალ ჯენერი იყო.

მომღერალმა თაყვანისმცემლებს სოციალურ გვერდზე ცოლთან ერთად გადაღებული ფოტო გაუზიარა.

საქორწინო კაბები ტუალეტის ქაღალდისგან

ნიუ-იორკში ტუალეტის ქაღალდისგან დამზადებული საქორწინო კაბების ჩვენება-კონკურსი გაიმართა. სამი საუკეთესო ნამუშევარი 1500 კაბიდან გამოავლინეს. სამივე მათგანი ტუალეტის ქაღალდისაგან შექმნილი ძაფებით და მოქსოვილი მაქმანებით იყო გაფორმებული.

ტუალეტის ქაღალდით შექნილი საქორწინო კაბების კონკურსი ნიუ-იორკში მეთხუთმეტედ ჩატარდა. საპრიზო ფონდი წელს 10 ათას დოლარს შეადგენდა.

„ბავშვების ქარხნებიდან“ 19 ორსული ქალი გაათავისუფლეს

ნიგერიის უმსხვილესი ქალაქის ლაგოსის პოლიციამ ე.წ. „ბავშვების ქარხნებში“ ჩატარებული რეიდების შედეგად 19 ორსული ქალი გაათავისუფლა. ამის შესახებ BBC წერს.

გამოცემის ინფორმაციით, 15-28 წლის ქალებთან ერთად კიდევ 4 ბავშვი გადაარჩინეს.

როგორც ირკვევა „ქარხნების“ მფლობელი გოგოებს და ქალებს იტაცებდა, მათი დაორსულების შემდეგ კი ბავშვებს ყიდდა.

ბავშვების ფასი სქესზე იყო დამოკიდებული. ბიჭი 41 400 დოლარი ღირდა, გოგო კი — 4830.

მთავარმა ეჭვმიტანილმა მიმალვა შეძლო, თუმცა პოლიციამ მისი 2 თანამზრახველი დააკავა. რამდენიმე დღით ადრე ნიგერიის ქალაქ კადუნაში პოლიციელთა რეიდის შედეგად ე.წ. წამების სახლიდან 500-მდე კაცი და ბიჭი გადაარჩინეს.

იაკობ ლეჟავა

„რასაც გულგრილად ვერ ვუყურებდი“



ორტომეულის შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში.

ორივე ტომის ფასი 10 ლარი.

მისამართი: *არნოლდ ჩიქოვანის ქ. №42 (ყოფილ საბჭოს მოედანთან).*

ჩეხი მომღერალი კარელ გოტი გარდაიცვალა

ის 80 წლის იყო. ამის შესახებ Deutsch Welle წერს.

სექტემბერში მომღერალმა განაცხადა, რომ ექიმებმა მას მწვავე ლეიკემიის დიაგნოზი დაუსვეს. სხვა დეტალები ამ დროისთვის უცნობია. კარელ გოტს ჩეხეთში პოპ-მუსიკის მეფეს უწოდებდნენ. მან კარიერა 1950-იან წლებში დაიწყო.

ტრაგიკული ფინიში

კანზასის შტატის ქალაქ ელკ-სითიში თითქმის ფინიშის ხაზამდე მისულ მორბენალს მეხი დაეცა და დაიღუპა. შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც 33 წლის ტომას სტენლი 50 კილომეტრ დისტანციაზე სირბილის დროს ფინიშის ხაზთან უკვე ახლოს იყო. ამის შესახებ ინფორმაციას BBC ავრცელებს.

შეჯიბრის სხვა მონაწილეებმა და ორგანიზატორებმა მისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენა სცადეს, მაგრამ ის მეხის დაცემის შედეგად მიღებული ტრავმების გამო გარდაიცვალა.

მორბენალს ცოლი და სამი შვილი დარჩა. BBC-ს ცნობით, მისი ოჯახისთვის ერთ დღეში 45 ათას დოლარზე მეტი შეგროვდა. ტომას სტენლის მედალი მის ცოლს გადასცეს.

ვიკინგების ეპოქის დროინდელი მორგი

ნორვეგიაში, ჰემნეს მუნიციპალიტეტში, არქეოლოგებმა ვიკინგების ეპოქის დროინდელი მორგი აღმოაჩინეს. ინფორმაციას ამის შესახებ ვებგვერდი Phoes.org-ი ავრცელებს

გათხრების შედეგად აღმოჩენილი შენობის სიგრძე — 5, სიგანე კი 3 მეტრია. მის კუთხეებში სვეტები იდგა, კედლები კი ხის ფიცრებისგან იყო დამზადებული. შენობა სამარხის მახლობლად მდებარეობდა.

აქამდე მეცნიერები ვარაუდობდნენ, რომ ასეთი შენობებში ვიკინგები ცხედრებს ინახავდნენ, რათა გაზაფხულზე დაეკრძალათ. თუმცა გათხრების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა, რომ ასეთი შენობები მხოლოდ სიმბოლურ დატვირთვას ატარებდა. სავარაუდოდ, სკანდინავიელებს სჯეროდათ, რომ გარდაცვლილთა სულები სამარხში

დარჩებოდნენ და მათთან ძღვენის მიტანის შემთხვევაში კარგი მოსავალი იქნებოდა.

გათხრები უახლოესი 2 წლის განმავლობაში გაგრძელდება. არქეოლოგები იმედოვნებენ, რომ გათხრების შედეგად ვიკინგების ყოფის შესახებ ახალ ინფორმაციას მოიპოვებენ.

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ, 1 ოქტომბრის ნომერში (195), დაიბეჭდა **პროფესორ ომარ მარგველაშვილის წერილი — „ღირსეული“ (მე-7 გვ.). ავტორის ტელეფონი მითითებულია არასწორად. უნდა იყოს: 599158332.**

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქოვანის (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოზულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვებან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.9753; ევრო - 3.2434;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6611;
100 რუბლი - 4.5718; თურქული ლირა - 0.5229;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7501;
1000 სომხური დრამი - 6.2441.

ამინდი 3 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+9,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+4,	დღე	+28
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+15,	დღე	+33
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+30
თბილისი:	ღამე	+13,	დღე	+26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge